საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №13 (1801) 2-13 ივლისი 2003

## საფრთხე, რომელსაც ვერ ვაცნობიერებთ

მე-7 გვ.

„...მცირე ზომის ბროშურები, რომლებიც სხვა პრაქტიკულად მოსახმარ ნივთებთან ერთად უკვე დაურიგდათ მოსწავლეებს, შეიცავდნენ სხვადასხვა რჩევებს, მათ შორის გაუკუღმართებული ურთიერთობების დაწვრილებით აღწერას. გაფორმებული იყო უხამსი და ქართველი ერის ღირსების შემლახავი მდარე სურათებით, მაგ. პრეზერვატივი ჩოხით და ა.შ. და, რაც მთავარია, „ბავშვის ჩასახვა" მოხსნიებული იყო როგორც უარყოფითი მოვლენა და განიხილებოდა უარყოფით კონტექსტში, ვენერიული დაავადებებისა და შიდსის დონეზე. საერთოდ უნდა აღინიშნოს: ამ ტიპის ყველა „სახელმძღვანელოს" წითელ ხაზად გასდევს ტერმინი „არასასურველი ორსულობა" და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ ავტორებს დაავადებათა გავრცელებაზე მეტად სწორედ სიცოცხლის ჩასახვისა ეშინიათ".

## „რაც საქართველოში ხელისუფლება დაამხეს, ჯიბისუფლება მეფობს"



მე-3 გვ.




## პოლიტგვაროლოგია, ანუ ვინ ვინ არის?

მე-8 გვ.



## საკვირველია... მაგრამ არც იმდენად მონობა თანამედროვე მსოფლიოში

მე-4 გვ.

## სიახლეები ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში

მე-5 გვ.



## ხელისუფლება ჯიუტი ბავშვივით ტალახში გორავს

მე-2 გვ.



„სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ვილაცას საკუთარი ჯიბისთვის უნდა..."

www.opentext.org.ge/sakart

# ხელისუფლება ჯიუტი ბავშვივით ტალახში გორავს

## სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ვიღაცას საკუთარი ჯიბისთვის უნდა...

### ინტერვიუ რომან გოცირიძესთან

— ბატონო რომან, როგორც ამბობენ, სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოში სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის პროგრამა მოიწონა. წლების მანძილზე ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა. უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობა საიმედოს ვერაფერს ხედავს...

— დღემდე ჩვენს მთავრობას



არ გააჩნდა არავითარი პროგრამა, რომლითაც ეკონომიკას გაუძღვებოდა. ძირითადად ხელმძღვანელობდნენ სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით, რომელიც არაა პროგრამული ხასიათის, არამედ ცალკეულ თემებს ეხება. ახლა ეს რეკომენდაციებიც ხან სრულდება და ხან არა. ქვეყანა პრაქტიკულად იალქნიანი ნავივით უმართავად იყო ზღვაში მიშვებული. ამის გამო მუდამ პრობლემები გვქონდა. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა პროგრამა, მაგრამ მარტო ეს არ არის მთავარი. საქმე იმაში არ გახლავთ, ეს დოკუმენტი კარგია თუ ცუდი. ბევრი რამ კარგია, არის ხარვეზებიც. მთავარია, შესრულდება თუ არა იგი. ადამიანისთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა მხოლოდ პროგრამაში ჩადებულ რიცხვებზე არ არის დამოკიდებული. გავა 6-7 თვე და უცებ დავინახავთ, რომ პროგრამის არც ერთი მუხლი არ იქნება არათუ შესრულებული, არამედ დაწყებულიც კი. როცა სავალუტო ფონდი ეუბნება, მილიონებს მოგცემთ და ორიოდე ნაბიჯი წინ გადადგითო და არ დგამს, ასეთ პირობებში რამ უნდა აიძულოს საქართველოს მთავრობა, განახორციელოს ის, რაც პროგრამაში დევს. ეს პროგრამა ფარატინა ქაღალდია მხოლოდ, რომელიც სჭირდებათ სავალუტო ფონდისთვის თავის მოსაწონებლად, რათა რაღაც დახმარებები გამოსტყუონ.

**— სავალუტო ფონდს ბოლო პერიოდში შვიდ ბრუნვაში აბრუნებენ ჩვენი ხელისუფალნი. პრეზიდენტი იმუქრება, გაეროს მოვახსენებ, თუ ისე არ მოიქცევიან, როგორც ჩვენ გვინდაო. შეიძლება, სავალუტო ფონდი ისე მოიქცეს, როგორც ჩვენ გვინდა?**

— ჩვენ თუ მოვიქცევით ისე, როგორც ქვეყანას სჭირდება, სავალუტო ფონდიც ასე მოიქცევა. სავალუტო ფონდი რასაც ჩვენ გვთხოვს, ნორმალური საზოგადოებისათვის შეიძლება დამამცირებელი იყოს. ამას მთავრობა ისედაც უნდა აკეთებდეს. დაახლოებით ისეთ მითითებებს გვაძლევენ, ბავშვს მეზობელმა რომ უთხრას: დილით უნდა დაიბანო პირი, ჭამის წინ — ხელებიო, ეს ბავშვი კი ჯიუტად ტალახში გორვას აგრძელებდეს. სავალუტო ფონდი ითხოვს, ბიუჯეტი იყოს დაბალანსებული, საქართველოს მთავრობამ შეძლოს შემოსავლების მობილიზება, დროულად იქნეს გაწეული ხარჯები და არ დააგროვოს მთავრობამ დამატებითი ვალები პენსიების სახით. სავალუტო ფონდი აგრეთვე ითხოვს, დაიწყეთ შემოწმება, რამდენად ობიექტურად ხდება სახელმწიფო საწარმოებიდან თანხების ბიუჯეტში შემოტანაო. იგი გვეუბნება, რომ რეგიონებიდან ბიუჯეტში ფული უნდა შემოვიდესო. რა არის აქ ისეთი, რისი შესრულებაც შეუძლებელია თუ ხელისუფლება მოინდომებს? რაც შეეხება გაეროს, პრეზიდენტს ეტყობა, წარმოდგენა არა აქვს, რა არის სავალუტო ფონდი. ამ უკანასკნელს არავითარი კავშირი არა აქვს გაეროსთან. სავალუტო ფონდი არის საფინანსო საერთაშორისო ორგანიზაცია, ხოლო გაერო პოლიტიკური საერთაშორისო ორგანიზაცია. გაეროს სავალუტო ფონდზე არანაირი ზეწოლის მოხდენა არ შეუძლია. კომიკურად ჟღერდა პრეზიდენტის ეს გამონათქვამი. რაც არაკომპეტენტურობის შედეგი იყო და რაც არაერთგზის მომხდარა აქამდეც.

**— სავალუტო ფონდი საქართველოსთვის დამღუპველ რეკომენდაციებს იძლევაო, არაერთხელ გაჟღერებულა ზედა ეშელონებში. მაინც ახლა რას ითხოვს სავალუტო ფონდი ისეთს, რომ ხელისუფლებაში ახლაღა შენიშნეს მისი „თავიდან მოცილების" აუცილებლობა"?!**

— სავალუტო ფონდზე მსგავს განცხადებებს აკეთებენ ისინი, ვინც ისევე არაკომპეტენტურია, როგორც პრეზიდენტი და უფრო მეტიც, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ფიქრობენ. სავალუტო ფონდის რეკომენდაციები არის სასარგებლო ხალხისთვის, ხოლო ვისაც ეს არ მოსწონს, ეს რეკომენდაციები უნდათ საკუთარი ჯიბისთვის და პირადი ბიზნესისთვის.

**— მაინც რას ითხოვს ასეთს სავალუტო ფონდი, რამაც ხელისუფლება მის დათხოვნაზე აალაპარაკა?**

— შავი ფულის გათეთრების შესახებ კანონი მიიღეთო, გვითხრეს. როგორც იქნა, მიიღო პარლამენტმა, დანარჩენი კი არაფერი შეასრულეს...

ბიუჯეტში შემოსავლების ზრდა არ მომხდარა. სავალუტო ფონდი რომ გვეუბნება, საბიუჯეტო ვალები არ უნდა დაგროვდეს, ანუ დროულად დაარიგეთ პენსია და ხელფასებიო, რა არის ამ რეკომენდაციაში ცუდი ან მიუღებელი?

ხშირ შემთხვევაში მთავრობა ასრულებს მათ მოთხოვნებს, მაგრამ საკმაოდ დაგვიანებით, ვინაიდან ეშინიათ დახმარებების შეწყვეტის. საქართველოს მთავრობას, ეს იქნება თუ შეიცვლება, ამ რეკომენდაციების შესრულება მაინც მოუწევს, რადგან ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა. რატომ ვაგვიანებთ იმის გაკეთებას, რაც დღესაც თავისუფლად შეიძლება გაკეთდეს?

**— რას მოგვიტანს სავალუტო ფონდის დათხოვნა საქართველოდან და წავა თუ არა ხელისუფლება ამ რისკზე?**

— სავალუტო ფონდის დათხოვნა გამოიწვევს საქართველოს სრულ იზოლაციას საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მაგრამ მე არა მგონია, რომ ეს მოხდება. ამგვარი რამ არ მომხდარა არსად ბოლო წლებში, გარდა ბელორუსიისა.

**— ჩვენს ხელისუფლებას ვალები მაშინ ახსენდება, როცა მის გადახდის კონკრეტული თარიღი ახლოვდება და ბეწვის ხიდზე იწყებს გავლას. პარიზის კლუბის ვალების ირგვლივ ჯერ არ ხმაურობენ...**

— იმიტომ, რომ ელოდებიან, რა რეკომენდაციებს დატოვებს სავალუტო ფონდის მისია. მალე გამოჩნდება, სავალუტო ფონდი გაგვიწევს დახმარებას პარიზის კლუბში თუ არა. მთავრობას იმედი აქვს, რომ პროგრამა არ აღდგება, მაგრამ პარიზის კლუბში მაინც არ დაგვტოვებენ ობლად. თუმცა სავალუტო ფონდის მხრიდან პროგრამის აღდგენის გარეშე ძნელია ასეთი დახმარების მიღება. ჩვენ თუ ვალები არ გადაგვივადდა და არ დაგვეხმარა სავალუტო ფონდი, მომავალ წელს ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან ბიუჯეტიდან მთელი თანხები წავა ვალებში. ამას ჩვენი ბიუჯეტი ვერ გაუძლებს.

სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შეუსრულებლობას ბიუჯეტი ვერ უძლებს და ძალიან მიკვირს, ხალხი როგორ უძლებს ამ მთავრობას.

**— სავალუტო ფონდი დენის ტარიფის გაზრდასაც ითხოვს. მოსახლეობას ამაზე დიდი ტარიფის გადახდის შესაძლებლობა რომ არა აქვს, დღესავით ნათელია. ამ შემთხვევაში ხალხზე ვინ ზრუნავს?**

— მომატებული ტარიფი როცა იყო, სხვაობა მომატებულსა და ძველ ტარიფს შორის უნდა დაეფარა მთავრობას, საკუთარი განცხადების თანახმად. შემდეგ რაღაც მაქინაციებით საკონსტიტუციო სასამართლოში მათ ხელი შეუწყვეს ლეიბორისტებს და ტარიფი „შემცირდა". მოსახლეობა დღეს იმდენს იხდის, რაც ადრევე უნდა გადაეხადა. სინამდვილეში მთავრობის გადასახდელი თანხები შემცირდა იმ სხვაობის სახით, რაც ძველსა და ახალ ტარიფს შორის არსებობდა. ამ ეშმაკობას მიუხვდათ სავალუტო ფონდი და მოითხოვა ტარიფის აღდგენა. თუკი ეს არ მოხდება, მაშინ ენგურჰესის რემონტისათვის თანხებს ვერ მივიღებთ. თუ ენგურჰესი არ გარემონტდება, შუქი არ გვექნება. რომელი ჯობია, ტარიფის აღდგენა თუ შუქის არქონა?

**— გამოდის ხელისუფლება ლეიბორისტებს გაურიგდა და...**

— ვერ გეტყვით, რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, ხელისუფლებამ ელემენტარული რამ ვერ გათვალა. მათ ტარიფის აღდგენა მაინც მოუწევთ და თანაც უარეს ვითარებაში.

**მანანა ლოგუაშვილი**

# არ არსებობს ძალა, რომელიც ქართველ და ჩეჩენ ხალხს დააპირისპირებს

*მას შემდეგ, რაც კავკასიელმა ხალხმა თავისუფლებისათვის აქტიური ბრძოლა გააჩაღა და ხმამაღლა გამოხატა დამოუკიდებლობის სურვილი, რუსეთის იმპერიამ ბოლომდე აამოქმედა კავკასიაში თავისი ძალები — КГБ-ს აგენტურული ქსელი და მისი სამხედრო მანქანა. რუსული პოლიტიკის მიზანია, არ დაკარგოს გავლენა კავკასიაზე და არ შემოუშვას კავკასიაში დასავლური ძალები. ის ყველანაირად ცდილობს, მუდმივ პრობლემებში ჩააბას კავკასიელი ხალხი, რათა ვერ შეიქმნას კავკასიური დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ცდილობს, ერთმანეთს დაუპირისპიროს კავკასიის ხალხები და ეს მოახერხა კიდეც. სომხეთი და აზერბაიჯანი წაჰკიდა ერთმანეთს, ქართველებს დაგვიპირისპირა ოსები და აფხაზები და მაქსიმალურად ცდილობს, სამუდამოდ გადაგვკიდოს ჩეჩენ ხალხს. ჩეჩნეთი არის ის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ჩრდილოეთკავკასიელი ხალხის გაერთიანება, ხოლო საქართველოს — სამხრეთ კავკასიის გაერთიანება. ორივეს ერთად კი ძალუძს მთელი კავკასიის გაერთიანება. სწორედ ამიტომ არის რუსეთი ასე მონდომებული ქართველებისა და ჩეჩნების ერთმანეთთან დაპირისპირებით. სანამ საქართველოსა და ჩეჩნეთის პრეზიდენტები ერთმანეთთან მეგობრობენ და ქართველები და ჩეჩნები ერთად ვიბრძოდით დამოუკიდებლობისთვის, რუსეთმა კავკასიაში ომის დაწყება ვერ გაბედა. მინდა გავიხსენო 1994 წელი, როდესაც ელცინს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა: რატომ დაიწყო რუსეთმა ომი ჩეჩნეთში ახლა, როცა ჩეჩნებმა დამოუკიდებლობა მანამდე რამდენიმე წლით ადრე გამოაცხადეს და აირჩიეს პრეზიდენტი? ელცინმა ასეთი პასუხი გასცა: მაშინ ქართველები და ჩეჩნები ერთად იყვნენო. ომის დაწყება რუსეთმა კავკასიაში მხოლოდ მას შემდეგ გაბედა, როცა საქართველოდან ზვიად გამსახურდია გააძევეს და საქართველოში შევარდნაძე ჩამოიყვანეს. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ომი ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი ჩეჩნეთში. აფხაზეთში გვებრძოდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რუსეთის მარიონეტი ქართული ხელისუფლება საქართველოში ეწეოდა ანტიჩეჩნურ კამპანიას და თუ ვინმე დაიღუპებოდა ომში, მას აფხაზი მოკლავდა თუ რუსი, ხმები ვრცელდებოდა, რომ ეს ჩეჩენმა გააკეთა, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ეს დაკვეთა პირნათლად შეასრულა და ხალხში შექმნა ანტიჩეჩნური განწყობა, ბოლოს ქართველი ხალხი მიხვდა, რომ ეს რუსი დამპყრობლის პოლიტიკა იყო და ჩვენდა სასიკეთოდ უნდა ალვნიშნოთ, რომ დღეს ხალხის აზრი შემობრუნდა. დღეს ჩვენი და ჩეჩენი ერის მეგობრობა უფრო მყარი და საიმედო ხდება.*

*რაც კავკასიაში ხდება, ეს ეხება ყველა კავკასიელ ხალხს და ამიტომ ბუნებრივი და აუცილებელია ამ ხალხების ერთობა, რაც უზრუნველყოფს კავკასიის მშვიდობასა და დამოუკიდებლობას.*

*ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ახალგაზრდა ლტოლვილ ჩეჩენს, რომელმაც გულახდილად გვითხრა, თუ რას ფიქრობს ჩეჩენი ხალხი ორი ერის ურთიერთობაზე.*

## აუცილებელი დოსიე

ზამბულატ იდიევი - მწერალი, დაიბადა 1964 წელს გროზნოში. დაამთავრა მოსკოვის ლიტერატურის გორკის სახელობის ინსტიტუტი, 1989-99 წლებში ცხოვრობდა გროზნოში. მუშაობდა 1993 წელს კვლევით ინსტიტუტში „ჰუმანიტარული მეცნიერება", აგრეთვე _ გაზეთში „ВАСТ" (ОБРАЗ) კულტურის განყოფილების უფროსად. სხვადასხვა გაზეთებში იბეჭდებოდა მისი მოთხრობები, სტატიები და პოლიტიკური წერილები. მუშაობდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროში. სახელმწიფო ტელევიზიაში, 1998 წელს გახლდათ შემოქმედებითი გაერთიანება „ექო"-ს თავმჯდომარე, გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები ჩეჩნეთის ომზე და ჩეჩნეთის პრობლემების შესახებ. 1999 წლიდან საქართველოში ცხოვრობს ლტოლვილის სტატუსით. აქ დაწერა და გამოუშვა წიგნი „Повести".



**— ბატონო ზამბულატ, როგორ დაიწყო ეროვნული მოძრაობა ჩეჩნეთში და როგორ მივიდა ომამდე?**

— ეროვნული მოძრაობა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო და ის ჯერაც არ შეწყვეტილა. 1997 წელს, როცა ელცინი შეხვდა მასხადოვს და ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, მაშინ ელცინმა აღიარა, რომ ეს ომი საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის. ამ ხნის მანძილზე იყო ჩეჩნეთში აჯანყებები და ჩეჩენი მეომრები გადიოდნენ ტყეში, იყო წინააღმდეგობები კოლექტივიზაციის დროს, 30-იან წლებში, შემდეგ დეპორტაცია 44 წელს ჩეჩენი და ინგუში ხალხისა, ფაქტობრივად, ეს ყველაფერი ხდებოდა წლების მანძილზე. 1990 წელს ნოემბერში ჩეჩენმა ხალხმა გამოაცხადა ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ხოლო 1991 წელს 6 სექტემბერს ჩეჩენმა ხალხმა ოფიციალურად გამოაცხადა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა და ეს დღე არის ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის დღე. ხოლო 27 სექტემბერს ჩატარდა პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტად ავირჩიეთ ბატონი ჯოხარ დუდაევი. 1992 წელს მიღებული იქნა დამოუკიდებელი ჩეჩნეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, გერბი, ჰიმნი, დროშა და სხვა ატრიბუტები, რაც უცილებელია დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის.

**— როგორი იყო მოსკოვის რეაქცია ყოველივე ამაზე?**

— რა თქმა უნდა, ნეგატიური. 1991 წელს გახსოვთ, ალბათ, მოსკოვის პუტჩის დროს ჩეჩნეთის მაშინდელმა ოფიციალურმა ხელისუფლებამ პუტჩს დაუჭირა მხარი, ხოლო ეროვნული მოძრაობის ლიდერები დუდაევი, იანდარბიევი და სხვები გამოვიდნენ პუტჩის წინააღმდეგ, ამიტომ ელცინმა და მისმა გარემოცვამ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს დაუჭირეს მხარი, მაგრამ ჩეჩნებმა, რა თქმა უნდა, გააგრძელეს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და მოსკოვის რეაქცია შეიცვალა.

ისევე როგორც საბჭოთა რესპუბლიკები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის, ასევე ჩეჩენ ხალხსაც აქვს უფლება იბრძოლოს თავისუფლებისათვის და შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. რუსეთს ამის აკრძალვის უფლება არა აქვს.

**— ამას ხომ უთანასწორო ბრძოლა და ომი მოჰყვებოდა. ამაზე წინასწარ არ გიფიქრიათ?**

— ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან შეიძლება დაწყებულიყო ომი. ომი რომ დაუნდობელია, იცოდა ჩეჩენმა ხალხმა, თუმცა ასეთ სასტიკეს რუსების მხრიდან არავინ ელოდა. მაგრამ თავისუფლება ჩვენი ხალხისათვის არის წმინდა, ჩვენთან როცა ადამიანები ერთმანეთს ესალმებიან, ამბობენ „თავისუფლება". როცა ერთმანეთს ემშვიდობებიან, მაშინაც იგივე სიტყვა ითქმება და ეს თავისუფლება ჩვენს ხალხს ფესვებიდან მოჰყვება. ეს არის წმინდა სიტყვა და წმიდათა წმინდა საქმე თავისუფლებისათვის ბრძოლა.

**— როგორი იყო მხარდაჭერა მეზობელი ინგუშების, დაღესტანის**

გაგრძელება მე-3 გვ.

# „რაც საქართველოში ხელისუფლება დაამხეს, ჯიბისუფლება მეფობს“

## ინტერვიუ ნემო ბურჭულაძესთან

**— ბატონო ნემო, რამდენიმე დღის წინ ტრაგიკულად დაიღუპა თქვენი პარტიის სამი წევრი. მათმა ვერაგულმა მკვლელობამ საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა, რომ ქვეყანაში მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევს და ყოველი მათგანი დაუცველია. დღეისათვის თუ არსებობს რაიმე ახალი ინფორმაცია ამ ტრაგიკული ფაქტის შესახებ?**

— ეს ერთი კონკრეტული შემთხვევა არ გახლავთ მხოლოდ, თანაც არც პირველია. ღმერთმა ქნას, რომ უკანასკნელი კი იყოს. თუმცა ქვეყანას ყაჩაღები მართავენ და მსგავსი შემთხვევები მომავალშიც არ არის გამორიცხული. მე-12 წელია, პერმანენტულად მიმდინარეობს ეს გაუთავებელი ძალადობის პროცესი. ერთი შეხედვით, თითქოს 20 აპრილის დადგენილების შემდეგ გარკვეული ნაწილი კანონიერი ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლებისა პატიმრობიდან გაათავისუფლეს, დევნილობიდან ბევრი დაბრუნდა, თითქოს ლეგალური პოლიტიკური მოქმედების საშუალება მოგვეცა, მაგრამ...

მოსახლეობას კარგად ახსოვს თამარაშენში ცოტა ხნის წინ მომხდარი საზარელი მკვლელობა, როდესაც მინდიაშვილების მთელი ოჯახი ამოწყვიტეს — მამა და სამი ვაჟკაცი. ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ეს მოხდებოდა, ჩვენი კავშირის ხელმძღვანელობა ჩასული იყო სამაჩაბლოში. საოცრად თბილი შეხვედრები გვქონდა მოსახლეობასთან. თქვენი ხელისუფლების დამხობის შემდეგ არავის გავხსენებივართ და ისევ თქვენ მოხვედით პირველიო — გვითხრეს. ჩვენი მასპინძელი ოჯახის დაღუპული მამა გახლდათ. საკუთარი მანქანით შემოგვატარა ხეობის სოფლები. ოჯახის დაღუპული წევრები ჩვენი კავშირის წევრები იყვნენ. როცა მკვლელობებს შორის კავშირი აშკარაა და ყოველივე ეს დაუსრულებლად გრძელდება, ნათლად ჩანს, რომ ისინი წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ.

**— ამ ბიჭების მკვლელობას რას უკავშირებთ?**

— როგორ გითხრათ?! ჩვენ ზუგდიდში გვაქვს ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია. აქ 26 000-ზე მეტი კავშირის წევრია.

ერთი დღით ადრე ვიდრე თენგიზ და მანუჩარ ზარანდიებს და მამუკა გვაზავას ჩაცხრილავდნენ, ჩვენ კონფერენცია ჩავატარეთ რუხში. ხალხმრავალი, საოცრად თბილი შეხვედრა გამოვიდა. მეორე დილით კი ეს საზარელი ამბავი მოხდა. მამუკა გვაზავა წალენჯიხის რაიონში დეპუტატობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო ჩვენი კავშირიდან. შარშან მამუკა გვაზავს ფეხმძიმე დას ოჯახში შეუვარდნენ და დაცხრილეს. ერთ-ერთი დაღუპული თენგიზ ზარანდია იმ ოჯახის წარმომადგენელი გახლავთ, სადაც ზვიად გამსახურდიას ცხედარი იყო დაკრძალული. მის მამას — ვალიკო ზარანდიას კი ცემაში ამოხადეს სული მხოლოდ იმიტომ, რომ თავის ეზოში პრეზიდენტი დაკრძალა. ნათლად ჩანს, რომ ეს მკვლელობები შემთხვევითი არ არის, მსხვერპლი საგანგებოდ შეარჩიეს.

ჩვენ მშვიდობიანი გზით, არჩევნებით გვინდა გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო, დღევანდელი ხელისუფლება კი ყველანაირად შეეცდება თავისი მდგომარეობის შენარჩუნებას იმ ნაცადი გზით, რომლითაც ხელისუფლებაში მოვიდნენ.

**— ბატონო ნემო, მოსახლეობა დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრს ეროვნულ და არაეროვნულ ძალებად ჰყოფს. თქვენ ვის მიიჩნევთ ეროვნულად და ვის არაეროვნულად?**

— ჩამოთვლას არ დავიწყებ, ვინ ვინ არის, თუმცა პოლიტიკური ძალები ნამდვილად იყოფა ორ ნაწილად — ეროვნულად და ანტიეროვნულად. მოსახლეობა მშვენივრად ხედავს, ვინ აკეთებს პოპულისტურ სოციალურ დაპირებებს და ვინ არის ანტიეროვნული. ქართველი ადამიანი ასე ადვილად არ იყიდება რამდენიმე ლარად. დღეს უკვე ყველამ იცის, არჩევნების წინ გაძლევენ ხუთ ლარს იმ ათასებიდან, რომელიც უკვე წაგართვეს და ამ მიზერულ თანხას იმისთვის გთავაზობენ, რომ საშუალება მიეცეთ, მომავალში უფრო მეტი წაგართვან.

**— პოლიტიკურ პარტიებს ჰგონიათ, რომ მოსახლეობისთვის სოციალური მდგომარეობაა მთავარი... თქვენ როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს დღეს პოლიტიკური პარტიის პოპულარობას, მათი პოლიტიკური პოზიცია თუ პოპულისტური ინტენსიური გამოჩენა მასმედიის საშუალებებში?**

— ამ ხელისუფლების მიერ დღეს შექმნილი სოციალური ფონი გარკვეულ ნიადაგს ქმნის პოპულისტური განცხადებებისთვის. მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საკმაოდ ჰყავთ მრჩევლები შინ და გარეთ, თუ როგორ გასწიონ აგიტაცია. შემთხვევითი არ არის, რომ ეს პოპულიზმი ძირითადად ეხება სოციალურ საკითხებს. მე მოსახლეობას მინდა ავუხსნა, რომელიმე ერთი საკითხის ცალკე გადაწყვეტა შეუძლებელია, ვიდრე ის ერთადერთი ძირითადი პრობლემა არ გადაწყდება, რომელიც ქვეყანაში არსებობს. ეს ხელისუფლების პრობლემა გახლავთ და მძიმე სოციალური თუ სხვა ნებისმიერი საკითხი მხოლოდ შედეგია იმისა, რაც მოხდა საქართველოში 1992 წლის დასაწყისიდან დღემდე. უნდა ვიცოდეთ, რომ, როცა იარაღით შემოგივარდება ადამიანი, ის კარგ საქმეზე არ მოდის. დღეს მოსახლეობისთვის ამის ახსნა ზედმეტადაც კი მიმაჩნია. ჩვენ დავდივართ რაიონებში და მოსახლეობა აქეთ გვიხსნის ყველაფერს, რაც საკუთარი თვალით ნახა.

სპეკულაცია ძირითადად სოციალურ თემაზე პოპულიზმით ხდება. მოსახლეობას ჰყავდა არჩეული ხელისუფლება. ხუთის ნაცვლად მხოლოდ ერთი წელი მართავდა ქვეყანას, მაგრამ შეასრულა ყველა საარჩევნო პირობა. იმის შემდეგ გავიდა ამდენი წელი, მაჩვენეთ ერთი პირობა მაინც იმ ჩამონათვალიდან, რომელიც ამათ შეასრულეს. დღეს საქართველოში დემოკრატია არ არსებობს. პრესის ორგანოების სიმრავლე კი არ მეტყველებს დემოკრატიის არსებობაზე, არამედ არჩეული ხელისუფლება.

შევარდნაძე აცხადებს, რომ წინა არჩევნები გაყალბდა, ჟორბენაძე ამტკიცებს, რომ მას აქვს 500 000 გაყალბებული ხმის დოკუმენტაცია, ოპოზიცია ამას თავისთავად ყვირის... იმაში, რომ არჩევნები გაყალბდა, ყველა მხარე შეთანხმებულია. ისინი მხოლოდ იმაზე დაობენ, ვინ გააყალბა არჩევნები. პირადად ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, ვინ გააყალბა. მთავარია, რომ ქვეყანას არ ჰყავს არჩეული ხელისუფლება.

**— დღეს პრაქტიკულად დაიწყო საარჩევნო კამპანია, თუმცა ჯერ კანონიც არ გახლავთ მიღებული. რა დონით იღებთ კანონის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობას და როგორია თქვენი მოთხოვნები კანონთან ურთიერთობაში?**

— ჩვენ ძალიან აქტიურად ვართ ჩაბმული არა მხოლოდ კანონის ჩამოყალიბების პროცესში. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას საარჩევნო გარემო. კარგად იცის მოსახლეობამ, რომ საქართველოში წლების მანძილზე არ ჩატარებულა არჩევნები და ეს უფრო არჩევნებობანას თამაშს გავდა, ვიდრე არჩევნებს. საარჩევნო კანონის ის ვარიანტი, რომელსაც იხილავდნენ, ბევრ დადებითს შეიცავს გაყალბების წინააღმდეგ, თუმცა არაფრით არ უნდათ დათმონ ერთი მთავარი — საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება ყველა დონეზე. როცა ხდებოდა კონსულტაციები ოპოზიციასა და პოზიციას შორის...

**— პოზიციაში ხელისუფლებას გულისხმობთ?**

— ეს ხელისუფლება არ არის. ხელისუფლება დაამხეს და დიდი ხანია, საქართველოში ჯიბისუფლება მეფობს...

ჩვენი წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ ამ კონსულტაციებში. ოპოზიციაც და სახელისუფლებო ბლოკიც ერთმანეთში ვერ იყოფენ ადგილებს კომისიაში. ჩვენთან ნაკლები პრეტენზია აქვთ. ყველა თანახმაა, რომ ჩვენ გვყავდეს წარმომადგენელი კომისიაში. ამის მიზეზი მარტივია. ჩვენ სულ სხვა მხარე



ვართ და არა ერთ-ერთი რომელიმე ოპოზიციური კავშირი. როცა საუბარია, ვინ რამდენი პროცენტით გადალახა ბარიერი, ეს ჩვენ არ გვეხება, რადგან ტყეში და ციხეებში პროცენტებს არ იძლეოდნენ. იქ წლებს გვირიგებდნენ პროცენტების ნაცვლად.

ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა, ჩავატაროთ არჩევნები, რაც არ მომხდარა 1991 წლის შემდეგ. მივცეთ ხალხს არჩევანის საშუალება და მათ არ შეეშლებათ.

**— ეროვნული თანხმობის კავშირი არჩევნებში მარტო აპირებს გამოსვლას თუ პარტნიორები ეყოლება?**

— ჩვენი კავშირი არჩევნებში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს და ბევრი პოლიტიკური ძალა ძლიერ კონკურენტადაც გვთვლის. უზენაესი საბჭოს დეპუტატები არჩევნებში არ ვმონაწილეობთ. რაც შეეხება ბლოკს, ჩვენ ცალკე გამოვალთ. მექანიკური გაერთიანება შედეგს არ იძლევა.

*თრისთან ბერიანიძე*

---

*მე-2 გვერდიდან*

**და სხვა ჩრდილო კავკასიელი ხალხისა. თანაგიგრძნობდნენ, მხარს გიჭერდნენ, გეხმარებოდნენ?**

— რა თქმა უნდა, ყველა მეზობელი ხალხი მხარს გვიჭერდა, ყველასაგან გამორჩეულად, ღირსეულად მოიქცა ინგუშეთის პრეზიდენტი აუშევი. მაგალითისთვის საკმარისია ისიც, რომ მან უარი განაცხადა და ხელი არ მოაწერა წერილზე, რომლის მიხედვითაც თითქოსდა ჩრდილოეთკავკასიის რესპუბლიკები მოითხოვდნენ რუსეთისაგან რეგიონში წესრიგის დამყარებას. რაც შეეხება ინგუშ ხალხს, ყველანაირად პროტესტს გამოთქვამდნენ და რუსეთის ჯარს ხელს უშლიდნენ, რასაც შეეწირა კიდეც ინგუშეთის იმდროინდელი ჯანდაცვის მინისტრი. ანალოგიური მდგომარეობა იყო 1994 წელს დაღესტანში და აქაც, რაც შეძლო, მაქსიმალურად ყველაფერი გააკეთა დაღესტნელმა ხალხმა, რათა ხელი შეეშალა რუსებისათვის.

საქართველოსთან იმდროისათვის დაძაბული ვითარება იყო, ძალიან უარყოფითად იმოქმედა ჩვენს ურთიერთობაზე აფხაზეთის ომმა. ომის დაწყებისას ჩეჩენი ლტოლვილები არ იყვნენ თავიდან საქართველოში.

**— ქართულმა მხარემ ჩეჩენი პატიმრები რუსულ მხარეს გადასცა და მათი ექსტრადაცია მოახდინა. როგორ უყურებს ამას ჩეჩენი ხალხი, ხომ არ იმოქმედა ამ ფაქტმა უარყოფითად ჩვენს ურთიერთობებზე?**

— ეს იყო რუსეთისა და საქართველოს პროკურატურებს შორის მოლაპარაკებების შედეგი, ბუნებრივია, ჩეჩნებს კარგად ესმით, რომ ეს არის რუსეთის მხარის ზეწოლის შედეგი და საქართველოს მხარე იძულებულია ზოგიერთ საკითხში დაუთმოს რუსეთს. ეს ფაქტია და ჩვენ ამ ფაქტს ვცნობთ. ვიცით, რომ ქართველი ხალხი წინააღმდეგი იყო ჩეჩნების ექსტრადიციის, ჩეჩნებს ქართველი ადვოკატები იცავდნენ და მაქსიმალურად შეეცადნენ, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, გაეკეთებინათ. ასე რომ, ეს ყველაფერი კარგად გვესმის და ჩვენს შორის ურთიერთობებს ეს ფაქტი ვერ შეცვლის.

**— დუდაევსა და გამსახურდიას ჰქონდათ საერთო კავკასიური სახელმწიფოს კონფედერაციის შექმნის იდეა. როგორ ფიქრობთ, ეს იდეა კიდევ ცოცხლობს ხალხში?**

— კავკასიელი ხალხის ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ გვაქვს საერთო ტრადიციები, ადათ-წესები, ერთი ფესვები და მენტალიტეტი. ქართველები ქრისტიანები არიან, ჩეჩნები — მუსულმანები, რელიგია არის ერთადერთი განსხვავება ჩვენ ორ ხალხს შორის, მაგრამ ჩვენს ურთიერთობებს ეს ხელს არ შეუშლის. ადრე თუ გვიან ერთად მოგვიწევს ერთიანი კავკასიური ერთობის შექმნა, ეს იქნება კონფედერაცია თუ სხვა რამ. კავკასიელმა ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა ფორმით უნდათ ერთად ცხოვრება.

**— საქართველოში გავრცელდა განცხადება იმის შესახებ, რომ გილაევი თავისი რაზმით ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსვლას აპირებს. რამდენად სარწმუნოა ეს?**

— ეს განცხადება, ვფიქრობ, პროვოკაციული უნდა იყოს, ნაკლებად სარწმუნოა, რომ გილაევი თავისი რაზმით გადმოვიდეს, ეს არ მოხდება.

**— მაგრამ სხვა თუ გადმოვიდა გილაევის ნაცვლად?**

— მაინც პროვოკაცია იქნება, რადგან რუსეთს სურს საქართველოში შემოსვლა. ის, რა თქმა უნდა, შეეცდება ყველანაირ პროვოკაციაზე წავიდეს.

**— თქვენ ახლა უფრო ახლოს გაიცანით ქართველი ხალხი, დაიწყეთ ქართული ენის შესწავლა, გყავთ ქართველი მეგობრები. გიადვილდებათ ქართველებთან ურთიერთობა?**

— ქართველებთან მიადვილდება ურთიერთობა, რა შეხედულებაც მქონდა საქართველოში ჩამოსვლამდე, ის შეხედულება დამრჩა, არ შემცვლია. ჩეჩნებსა და ქართველებს ყოველთვის გვესმოდა ერთმანეთის და არსოდეს ურთიერთობაში პრობლემები არ გვქონია. მე რაც საქართველოში ვარ, დავიწყე ქართული ლიტერატურის უფრო ღრმად შესწავლა, თუმცა ჩეჩნეთში ყოფნისასაც მქონდა შეხება ქართულ ლიტერატურასთან. ვსწავლობ ქართულ ენას და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენ ერთი ფესვები გვაქვს. დღეს ჩეჩენმა ხალხმა და ქართველებმა კარგად ვიცით, რომ ერთმანეთის მხარდაჭერის გარეშე გაგვიჭირდება, თუმცა რუსეთი ცდილობს ჩვენს დაპირისპირებას. მე ვიტყოდი, რომ არ არსებობს ძალა, რომელიც დააპირისპირებს ქართველ და ჩეჩენ ხალხს ერთმანეთთან.

*ელგუჯა ჩხაიძე*

---

# საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

ამ სამი დღის წინ ზუგდიდის მახლობლად ჩადენილ მორიგ მკვლელობას (ზარანდია, ზარანდია, გვაზავა), რომელიც ერთ-ერთია საქართველოში სისტემატიურად მიმდინარე არაყოფით მკვლელობათა სერიაში, საქართველოს სახალხო ფრონტი შემდეგ ინტერპრეტაციას აძლევს:

1. ეს არის ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტი, რომლის უშუალო ამოცანებია:

ა) მოახდინოს პოტენციურად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ლიკვიდაცია უშუალოდ წინადღით ჩატარებული ოპოზიციური ორგანიზაციის წარმატებული და ხალხმრავალი კონფერენციის შემდეგ.

ბ) მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ხელისუფლება უკან არ იხევს და მზადაა მასობრივი ტერორისათვის ეროვნული ძალების წინააღმდეგ თავისი ძალაუფლების რაგინდარა უკანონოდ შენარჩუნების მიზნით.

გ) ამ გზით ხელსაყრელი პირობები შექმნას 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩაშლისათვის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გზით ან, როგორც მინიმუმი, არჩევნების ტოტალური გაყალბებისათვის.

2. ამ ტერორისტული აქტის უკან მდგომი ფართო (ზოგადი) მიზნებია:

ა) კონფლიქტის ორგანიზება და გაღვივება ადგილობრივად არსებული მებრძოლი ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ბ) ფართო მასის პროვოცირება შეიარაღებული გამოსვლისათვის ტერორისტული ხელისუფლების წინააღმდეგ, სისხლისღვრის ორგანიზება და მისთვის „პოლიტიკური“, სახელდობრ, „ცენტრისა და რეგიონის კონფლიქტის“ იერის მიცემა.

3. დესტაბილიზაციის ამ გეგმის მიღმა დგას ორი ზოგადპოლიტიკური განზრახვა:

ა) ზუგდიდის ზონაში დესტაბილიზაციის საშუალებით აფხაზეთის გზის გადაკეტვა აფხაზეთში კიდევ ერთი შეიარაღებული კონფლიქტის მოლოდინში, რათა საქართველოს სახელმწიფო ინტერესთა დამცველი მხარის პარალიზაცია მოხდეს.

ბ) საქართველოში ხანგრძლივი და ფართო შეიარაღებული კონფლიქტის საშუალებით დასავლეთის დემოკრატიის შუა აზიისკენ მსვლელობის შეფერხება შეძლებისდაგვარად დიდი ხნით, რაზეც ცხადად მეტყველებს დასავლეთ საქართველოში მომუშავე რუსული აგენტურის პროპაგანდის თემატიკა ბოლო დროისა.

საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ საქართველოს არსებული ხელისუფლების (ე. შევარდნაძე და მისი პოლიტიკური გუნდი) ზემოხსენებული მოქმედება არის მისი მხრიდან სახელმწიფოს კიდევ ერთი მიზა[illegible]მართული ღალატი, რო[illegible] ცალსახად გვიჩვე[illegible]ამ ეს ხელისუფლე[illegible] მოქმედებას მხოლოდ უცხო ქვეყნის (რუსეთის) მითითებით. ამ მოქმედებაში სიფ ხედავს ე.წ. „კუთხეში მომწყვდეული ვირთხის“ და „ცოფიანი ძაღლის“ სინდრომს, რომელიც უკიდურესად სახიფათოა და რომლის გამოც დაუშვებელია ამ ხელისუფლების დარჩენა სახელმწიფოს სათავეში.

საქართველოს სახალხო ფრონტი კიდევ ერთხელ სთხოვს პოლიტიკურ პარტიებსა და ფართო საზოგადოებას იმის გათვალისწინებას, რომ რუსეთის შეტევითი პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ დღეს ალარაა მიმართული საკუთარი გადამწყვეტი გავლენის სფეროში საქართველოს და ამიერკავკასიის კიდევ ერთხელ ჩათრევისაკენ (ამის იმედი რუსეთს ალარ აქვს), არამედ მხოლოდ საქართველოში ფაქტობრივად გაუვალი სივრცის შექმნისაკენ, ყველა სახის „ბუნებრივ“, ხელოვნურ, ეპიდემიურ და პოლიტიკურ უბედურებათა მოწყობისაკენ თავისი ზემოხსენებული გეოსტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით.

**საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი**
*23.VI.2003 წელი*




## სპეცსამსახური მკვლელობებს სჩადის... დიდ ბრიტანეთშიც!

დიახ, დიდ ბრიტანეთში, თანამედროვე დემოკრატიის მშობელი ინგლისის „ჭუჭყიან ომში", რომელსაც ეს სახელოვანი სახელმწიფო იძულებით აწარმოებს ბელფასტში ირლანდიური ტერორისტული ორგანიზაციის „ირა"-ს წინააღმდეგ. ჟ. THE ECONOMIST იხსენებს 1989 წლის 12 თებერვლის ამბავს, როცა ორი უცნობი ოჯახთან ვახშმობისას შეეჭრა ბინაში „ირა"-ს ადვოკატს პატრიკ ფინუკეინს და ცოლშვილის თვალწინ მოკლა. ლონდონის დედაქალაქის პოლიციის უფროსმა სერ ჯონ სტივენსმა რამდენიმე თვის შემდეგ განაცხადა, რომ ორი იმათგანი, ვისაც ამ მკვლელობის ორგანიზება და შესრულება ევალა, სახელმწიფო სამხედრო და საპოლიციო ორგანიზაციების აგენტები იყვნენ. ამ ამბავში ფიგურირებს ისეთი ეპიზოდებიც, როგორიცაა დამნაშავის წინასწარ გაფრთხილება მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ და ცეცხლის წაკიდება ოფისისათვის, რათა მოისპოს მამხილებელი დოკუმენტები. სერ ჯონი, ჟურნალის სიტყვით, ადასტურებს იმას, რისაც უკვე რამდენიმე წელია ეჭვი არსებობს: რომ ჩრდ. ირლანდიაში მოქმედი ტერორისტების წინააღმდეგ სახელმწიფო „სიკვდილის ესკადრონების" გამოყენებით იბრძვის. იმალება ინფორმაცია, ხელოვნურად ფერხდება ანგარიშგება, ხელი ეშლება გამჭვირვალეობას, რითაც ირღვევა კანონი და შესაძლებელი ხდება როგორც დანაშაულის პროფილაქტიკის შესუსტება, ისე დამნაშავეთა დაუსჯელობა.

ეს იურიდიულად და მორალურად „დელიკატური" თემა, ბუნებრივია, საზოგადოებაში სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იწვევს. ერთი ასეთია: „ირლანდიელი ტერორისტები უარესს სჩადიან, აბა რა ქნან სამთავრობო სამსახურებმა"? დამთავრდება კონფლიქტი და ყოველივე ეს დავიწყებას მიეცემა". პასუხია: „დემოკრატიულმა მთავრობამ უფრო მაღალი სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს, ვიდრე ტერორისტულმა ორგანიზაციებმა. რადგან ეს განსხვავება მათი ლეგიტიმურობის ერთ-ერთი საფუძველია".

## საკვირველია... მაგრამ არც იმდენად
# მონობა თანამედროვე მსოფლიოში

ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის საერთაშორისო პრაქტიკა ცოტათი მაინც სწმენდს ნამუსს თანამედროვე კაცობრიობას, რომელიც აუარებელ მორალურ დანაშაულთა მოწმე და მონაწილეა. ზოგჯერ ეს პრაქტიკა შედარებით ნაკლებად კეთილდღეიანი ქვეყნებისთვის გამაღიზიანებელია, როგორც უცხო ქვეყნების ჩარევა მათს შინაურ საქმეებში. მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამ პრაქტიკას, ზოგ შემთხვევაში მაინც, პირწმინდად პედაგოგიური, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. აბა, როგორ გინდათ შეურიგდეთ მონობის არსებობას არაერთ ქვეყანაში ან როგორ გინდათ აალებინოთ ხელი ამ ქვეყნების საზოგადოებას მონათმფლობელობაზე, თუ იძულების რაღაცა ხერხი არ იქნა გამოყენებული საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ?

მკითხველს ვთავაზობთ (ძალიან მოკლედ) მასალას ამ თემაზე ჟ. NEWS WEEK-იდან.

მავრიტანიაში მიღებულია, რომ დაცვეთის დღეს ბავშვი საჩუქრად ითხოვს რაღაცა საგანს, რომელიც განსაკუთრებით ენატრება: თოფს, აქლემს და ა. შ. მრავალნი ითხოვენ მონას. მავრიტანიაში მონათმფლობელობა ფორმალურად გაუქმდა 1981 წელს, მაგრამ ამ წესის დარღვევისათვის სასჯელი არ შემოღებულა. თეთრ მავრიტანიელებს ანუ არაბებს მონობაში ჰყავთ ათიათასობით შავი მავრიტანიელები. ამ უკანასკნელთ არა აქვთ კანონით დადგენილი უფლებები და არ ეხდებათ საფასური შრომაში. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ფორმულირებით, მავრიტანიაში არსებობს „მონათმფლობელობის ნიშნები", ხოლო უფლებადაცვითი ორგანიზაცია „ინტერნეიშნელ ამნესტი" ამ მოვლენის მასობრივ ხასიათს ცნობს და შეძლებისდაგვარად ებრძვის. 1995 წლიდან ქვეყნის შიგნით მოქმედებს ორგანიზაცია „SOS მონები", რომელიც ავრცელებს მამხილებელ ინფორმაციას, უწევს მონებს სამართლებრივ დახმარებას და ზოგჯერ ფიზიკურად აწყობს მათი გაქცევის ოპერაციებს. იგი სასტიკად იდევნება. მოძრაობაში მონაწილეობენ ენთუზიასტები — ისინი, ვისაც გონება, გული და სვინდისი ერჩის.

მთავარი დაბრკოლება თვით მონათა ფსიქოლოგიაა. მათი დიდი ნაწილი ისეა შეჩვეული თავის ხვედრს, რომ მისი შეცვლა არც კი წარმოუდგენია. გაქცეული მონა კარგავს თავის ყველა კავშირებს და ყველა ნაცნობს. ყოფილი ამერიკელი ელჩის სიტყვით, ადამიანს „უზარმაზარი ენერგია, ახალი ცხოვრების დაწყების უზარმაზარი შინაგანი წადილი სჭირდება, რათა ადგეს და თავისი საცხოვრებელი ადგილი მიატოვოს". მონობა მჭიდროდაა დაკავშირებული ისლამთან, რომელიც ამ ქვეყანაში მოითხოვს, რომ მონა ბატონის მორჩილი დარჩეს, რადგან მისი წინააღმდეგობა ალაჰის წინააღმდეგობაა. იყო შემთხვევა, როცა ქალს ბატონი მოუკვდა და თავისუფალი დარჩა. რჩევისათვის, როგორ მოვიქცეო, მოლას მიაკითხა და პასუხი მიიღო: „შენმა ბატონმა შენი თავი მე აღმითქვა კურთხევის სანაცვლოდ. ამიტომ შენ და შენი 5 შვილი ჩემები ხართო". ქალმა მხოლოდ „SOS-მონების" დახმარებით შეძლო მისგან თავის დაღწევა.

ჟურნალი თვლის, რომ დასავლეთის დემოკრატიები არ უთმობენ სათანადო ყურადღებას ამ ფაქტს. ამერიკელებმა ერთხანს დააპირეს თავისი ეკონომიკური დახმარების დაკავშირება მონათმფლობელობის წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლის მოთხოვნასთან (1999 წ.), მაგრამ ხელი აიღეს განზრახვაზე მას შემდეგ, რაც მავრიტანიამ ურთიერთობა გაამწვავა ერაყთან.

## სიკვდილით დასჯის ევოლუცია ამერიკაში

ჟ. THE ECONOMIST იხსენებს ბოლო წლების რამდენსამე შემთხვევას, როცა სიკვდილმისჯილნი გადაურჩნენ სასჯელაღსრულებას იმის წყალობით, რომ სასამართლო პროცედურა, რომელიც მათი განაჩენით დამთავრდა, არაკვალიფიციურად ჩატარებული აღმოჩნდა 1994 წელს აშშ უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა ის სტანდარტები (რა თქმა უნდა, ძალიან მაღალი სტანდარტები), რომლებსაც უნდა უპასუხებდეს ადვოკატის კვალიფიკაცია ისეთ პროცესებზე, რომლებმაც შეიძლება სასიკვდილო განაჩენი მოიტანონ. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია, თუმცა ადვოკატის მუშაობის წუნი, როგორც მოვლენა, ამით არ მოსპობილა. მეორე ღონისძიება ასეთ საქმეებში სახელმწიფო ხარჯზე მოწვეული ადვოკატებისთვის გასამრჯელოს მკვეთრად გაზრდაა, მესამე — სასიკვდილო განაჩენისათვის ალტერნატივად სამუდამო პატიმრობის დაწესება. ყოველივე ამის შედეგად სასიკვდილო განაჩენებმა ამერიკაში 1998 წლიდან 2001 წლამდე 50-ით იკლო. მაგრამ ამერიკელების უმრავლესობა სიკვდილით დასჯის არსებობის მომხრეა. ამიტომ, თუ აქ სასჯელის ეს ზომა ოდესმე გაუქმდება, ეს, ჟურნალის აზრით, მაინც უხალისოდ მოხდება.

# საჭოჭმანო სიახლეები ევროკავშირში
## (კონსტიტუციის პროექტი ევროკავშირში, რომლის წევრობასაც არაერთი ქვეყანა უმიზნებს, საქართველოს ჩათვლით)

მკითხველმა იცის, რომ მიმდინარეობს მუშაობა „ევროკავშირის კონსტიტუციის" შექმნაზე, რაც დავალებული აქვს „კრებას ევროპის მომავლის საკითხზე" საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ჟისკარ დ,ესტენის თავმჯდომარეობით. ქართველმა მკითხველმა და საქართველოს საზოგადოებამ ცოტა იცის ევროკავშირის სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ, მით უფრო — მომავალი „კონსტიტუციის" შესახებ, რომელიც ამ კავშირს უფრო მჭიდროსა და ქმედითს გახდის. ვთავაზობთ მოსალოდნელი განვითარების ანალიზს ჟ. THE ECONOMIST-იდან.

ჟისკარ დ'ესტენმა ამ ორი თვის წინ უკვე გამოიტანა თავისი ძირითადი იდეები სააშკარაოზე და უკვე მწვავე წინააღმდეგობასაც შეხვდა. სადღეისოდ ევროკავშირის მართვას ახორციელებს ინსტიტუტთა სამკუთხედი, რომელიც შედგება ევროპის პარლამენტისაგან, ევროპის კომისიისაგან და მინისტრთა საბჭოსაგან, რომელსაც მორიგეობით, ექვს-ექვსი თვით თავმჯდომარეობენ წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, განურჩევლად ამ ქვეყნების ზომა-წონისა.

ჟისკარ დ,ესტენის იდეის თანახმად, ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს, რომელშიც წარმოდგენილნი არიან მონაწილე ქვეყნების ეროვნული მთავრობები, უნდა ჰყავდეს მომავალში საკუთარი ძლიერი თავმჯდომარე, რომელიც გაუძღვება მინი-კაბინეტს და ეს უკანასკნელი აღიჭურვება ევროკავშირის მუშაობის მართვის ძირითადი ფუნქციებით. ევროპის კომისიამ, ჟურნალის სიტყვით, „სამართლიანად" იგრძნო შეშფოთება იმის გამო, რომ ამ სიახლით შეიზღუდება მისი შესაძლებლობები, და განაცხადა, რომ ახალი წინადადება შეიცავს საშიშროებას, ერთის მხრივ, იმისა, რომ „აღრევა და გაორმაგებული ბიუროკრატიის" გაჩენა მოხდება (ანუ ევრობიუროკრატია ეროვნული ბიუროკრატიების დუბლირებას მოახდენს), მეორე მხრივ, იმისა, რომ შეიზღუდება მცირე ქვეყნების გავლენა. მართლაც, საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ხუთი წლით ირჩევა და რომელსაც, ამასთანავე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს (ამას სთავაზობს ევროპელებს ჟისკარ დ,ესტენი) ბევრად უფრო ძლიერი იქნება ექვსი თვით დაყენებულზე, ისიც — როტაციის წესით, ხოლო დღევანდელი ოცკაციანი ევროკომისიის შეცვლა ხუთმეტკაციანით, რომელიც ამ თხუთმეტი სრულძალოვანი წევრის გარდა კიდევ ამდენსვე დაიმატებს მხოლოდ სათათბირო ხმის მქონეს, იმას ნიშნავს, რომ ის „მოთათბირეები", უმრავლეს შემთხვევაში, მცირე ქვეყნების წარმომადგენლები იქნებიან, სრულძალოვანნი კი — დიდების. გარდა ამისა, მცირე ქვეყნებს აწუხებს ის ახალი წინადადებაც, რომ ევროპარლამენტის ადგილები წევრ ქვეყნებს შორის განაწილებული იყოს მათი მოსახლეობის სიდიდის პროპორციულად, რაც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ მცირე ქვეყნების გავლენისუნარიანობას ასუსტებს. ამავე თვალსაზრისით შემაშფოთებელია მცირე ქვეყნებისათვის ის ახალი წინადადებაც, რომ შეიქმნას ახალი ორგანო — ევროკონგრესი, რომლის 2/3-საც ეროვნულ პარლამენტთა წევრები შეადგენენ და რომლის ხელშიც იქნება არა მხოლოდ ყველა მომავალი ცვლილება ევროკავშირის კონსტიტუციაში, არამედ ახალი თავმჯდომარისაგან წამოსული ძირითადი პოლიტიკური ინიციატივების განხილვაც.

მცირე ქვეყნების შეშფოთებას ახალ წინადადებათა გამო სრულებით არ ჰგავს, ჟურნალის სიტყვით, ამავე წინადადებებისადმი ლონდონის, პარიზისა და მადრიდის დამოკიდებულება. მათ ეს წინადადებები მოსწონთ სწორედ იმის გამო, რის გამოც მცირე ქვეყნებს არ მოსწონთ, ხოლო გერმანიის პოზიცია ორჭოფულია, ვინაიდან იგი, ტრადიციულად, ევროპარლამენტისა და ევროკომისიის გაძლიერების მომხრეა, რაც აწონასწორებს მის ინტერესს, როგორც ევროპის დიდი სახელმწიფოსას.


ჟისკარ დ'ესტენი

***„საქართველოს" რედაქციისაგან.*** მკითხველი ადვილად დაინახავს წარმოდგენილ ანალიზში იმ კითხვის პასუხს, თუ რით არის სრულებით უსაფუძვლო ის დემაგოგიური მსჯელობა ევროკავშირისა და „ესენგეს" შორის თითქოსდა არსებული მსგავსების თაობაზე, რომელსაც რუსეთის პოლიტიკური და პოლიტოლოგიური წრეები მიჰმართავენ: ევროკავშირის ზემოაღწერილ ურთიერთწინააღმდეგობებს განაპირობებს ის, რომ წევრ ქვეყნებს შორის არ არის ერთმანეთთან საკუთარი თავის გაიგივების, ერთობის გრძნობის ის ხარისხი, რომელიც საჭიროა, რათა ერთის კეთილდღეობა და გაჭირვება ყველას ჭირად თუ ლხინად, ანუ საერთო კეთილდღეობად და გაჭირვებად მიიჩნიონ. ეს დაბრკოლება მათს ერთიანობას პრობლემებს უქმნის იმის მიუხედავად, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საერთო თვისებაც აქვთ: ისინი ევროპელები არიან და ამით ამაყობენ. საბჭოთა კავშირის ყოფილ ხალხებს კი საერთო თითქმის არაფერი აქვთ იმის გარდა, რომ თითქმის ერთი საუკუნე (თუ ძველ იმპერიასაც არ მივათვლით) ერთი და იმავე ზესახელმწიფოს კოლონიის მდგომარეობაში გაატარეს.

## „ჩრდილოეთის ზღვის ნავთობი"

ინგლისელების ინტერესი რუსეთის ნავთობისადმი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი რუსეთის პრეზიდენტის ამასწინანდელ პომპეზურ მიღებას გაერთიანებული სამეფოს სამეფო კარზე, ნათლად იკითხება THE ECONOMIST-ის ჯერ კიდევ მარტის დამლევის ნომერში. ჟურნალი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებებს, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნებულმა შეტყობინებებმა ყველა დიდი ნავთობკომპანიების — „ბრიტიშ პეტროლეუმისა" და „როიალ დაჩშელის" მიერ თავისი ჩრდილოეთის ზღვის საქმიანობაში მუშა-მოსამსახურეთა შეკვეცის შესახებ არავითარი კომენტარი არ გამოიწვია. ეს სიახლე მოსალოდნელი იყო. ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის მომხიბლაობა ნავთობკომპანიების თვალში დიდი ხანია კლებულობს და განსაკუთრებით მაშინ ჩამოქვეითდა, როცა ხელისუფლებამ დაბეგვრა გაზარდა. ჩრდილოეთი ზღვის ნავთობი, ჟურნალის სიტყვით, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია და მისი როლი არ ამოიწურება იმით, რომ იგი, როგორც ნავთობის ალტერნატიული წყარო, მძლავრი იარაღია „ოპეკის" (ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების ორგანიზაციის) ჭირვეულობასთან საბრძოლველად, რომელიც გამუდმებით ცდილობს ამ ნედლეულის მსოფლიო ფასები გაზარდოს (იგივე როლი, სხვა როლებთან ერთად, აქვს ბაქოჯეიჰანის ნავთობსაც. რედ): იქ დღესაც 55 კომპანია მუშაობს და მთავრობას წლეულს 4,5 მილიარდი ფუნტის ამოღების იმედი აქვს გადასახადთა სახით. ამ ნავთობის ექსპლოატაცია დაიწყო 1975 წელს და პიკს მიაღწია 1999 წელს. ის, რაც მარაგიდან ჯერ კიდევ რჩება, უფრო და უფრო ძნელი ამოსატუმბი ხდება ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად. ასე რომ მენავთობეთა ინტერესის გადაადგილება ხდება რუსეთისკენ, დასავლეთ აფრიკისკენ და მექსიკის უბის ღრმად საბურღავი საბადოებისკენ.




# სიახლეები ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში

მკითხველმა იცის, რომ ბრიტანული პრესა ცდილობს ხოლმე, გადაკრული, თავაზიანი და ძალიან ფრთხილი შეგონებებით გავლენა მოახდინოს მეგობარი ამერიკის პოლიტიკის მიმოხრაზე ამა თუ იმ რთულ ვითარებაში. THE ECONOMIST-ის მსჯელობა ამერიკული პოლიტიკური ელიტის ზედაფენის შემადგენლობაზე და მისი პოლიტიკის ნიუანსებზე ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს.

უმცროსი ბუშის გარშემო შემოკრებულია დაახლოებით 20 სულისგან შემდგარი ჯგუფი, რომელნიც თავს „ნეოკონსერვატორებს" უწოდებენ. ისინი ინტერესის ცენტრში მოექცნენ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, გავლენა განსაკუთრებით გაუძლიერდათ ერაყის დამარცხების შემდეგ. ახლა მსოფლიო სუნთქვაშეკრული შეჰყურებს, „რა აქვთ გუნებაში ამის შემდეგო?", მაგ. „სირიაზე დარტყმას ხომ არ აპირებენო?". ზოგი პოლიტიკოსი პირდაპირ ამბობს, ამერიკის საგარეო პოლიტიკა ამ ჯგუფს კისრით ჰყავს დაჭერილი, პრეზიდენტი კი მკლავამოტრიალებული უჭირავთო. არის აზრიც, რომ ამ (ძირითადად, ებრაულ) ჯგუფს აშშ საგარეო პოლიტიკა უკვე ხელთგდებული აქვს და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას უპირებს.

ჟურნალი კითხვას სვამს: „მაშ გამოდის, რომ შეთქმულთა ჯგუფი მართავს მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას? ერევიან სხვა ქვეყანათა შინაურ საქმეებში, ქმნიან იმპერიას, თელავენ საერთაშორისო სამართალს და ფეხებზე ჰკიდიათ შედეგები?". პასუხია: არც მთლად ასეა. ვრცელ წერილში ჟურნალი ამ პასუხს ასაბუთებს კიდეც და აკონკრეტებს კიდეც. სახელდობრ, გამოარჩევს იმას, რაც ამერიკულ პოლიტიკაში ძირითადია და რაზეც მცირე ჯგუფი გავლენას ვერ მოახდენს. გადმოვცემთ ამ მსჯელობის შინაარსს, ვინიდან მის გაუთვალისწინებლად ვერც ერთი ქართველი პოლიტიკოსი ვერ შეძლებს ამერიკელების პოლიტიკის და მსოფლიო განვითარების სწორ პროგნოზირებას უახლოესი წლებისათვის.

ნეო-კონთა (ასეთი გახლავთ ნეოკონსერვატორთა სახელის შემოკლება) პოზიცია ამერიკაში დღეს თითქმის საყოველთაოდ გაზიარებულია (გამონაკლისია, ჟურნალის სიტყვით, სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუე-




ლი). ეს პოზიციაა: ამერიკამ ინტენსიურად უნდა გამოიყენოს დღეს თავისი ძალა და მსოფლიო გარდაქმნას. მას ემხრობა პრეზიდენტის „ინსტინქტიც" და ფართოდ გავრცელებული სულისკვეთებაც. „ნეო-კონები" წარმოიშვნენ ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, როგორც დემოკრატებისგან გამოყოფილი პატარა ფრაქცია, რომელიც ამ უკანასკნელებს სწორედ ამ ზემოდასახელებული მიზნის ვერდასახვისა და არდასახვისათვის გმობდა. როგორც ჩანს, ამ მიზნის აღიარება, წელან რომ ვახსენეთ, ძალთა რეალური განვითარების და, შესაბამისად, ამერიკელთა სულისკვეთების ამავე მიმართულებით განვითარების ნაყოფია და არაა დამოკიდებული იმაზე, „ნეოკონთა" ეს ჯგუფი იდგომება ამერიკის საგარეო პოლიტიკის სათავეში თუ არ იდგომება.

ეს პატარა ჯგუფი თითქმის მთლიანად შედგება უნივერსიტეტის პროფესორებისაგან (ასეთთა რიცხვს ეკუთვნის თავდაცვის მდივნის რამსფელდის მოადგილე ვოლფოვიცი), ან იურისტებისაგან. მისი შედარებით ახალი წევრები არიან დიკ ჩეინი (ყოფილი თავდაცვის მდივანი ანუ მინისტრი, რომელმაც ერაყის პირველი ომის შემდეგ მხარი დაუჭირა სადამ ჰუსეინის დატოვებას ერაყის სათავეში) და კონდოლეცა რაისი.

ნეო-კონთა პოლიტიკური იდეოლოგია და სტრატეგია ემყარება ზემოხსენებულ მიზანს და მდგომარეობს შემდეგში:



ბუში და მისი თავის გეგმაზე მოქცევის მსურველები

ამერიკა დღეს იმ ამოცანის წინაშე დგას, რომ „ერთპოლუსიანი მსოფლიოს" საქმეს გაუძლვეს. მსოფლიო მთლიანად კეთილი და ბოროტი ელემენტებისაგან შედგება. ამერიკამ სამხედრო ძალა უნდა გამოიყენოს, რათა დათრგუნოს ქაოსის ძალები. საჭიროა ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიული გარდაქმნა (ამ უკანასკნელ აზრს ბუშის ადმინისტრაციის დიდი ნაწილი არ იზიარებს). ამ ჯგუფს, ჟურნალის სიტყვით, „ახასიათებს ენერგიული სტილი. მორალური სიცხადე მათ ურჩევნიათ დიპლომატიურ ნიუანსებს და დაპირისპირება — თანდათანობითი უპირატესობების მოპოვებას. ისინი სკეპტიკურად უყურებენ მრავალმხრივ ინსტიტუტებს, რომლებიც ზღუდავენ ამერიკელთა ძალას და ეფექტიანობას. მათ ურჩევნიათ ყურადღების კონცენტრაცია ახალ საშიშროებებსა და შესაძლებლობებზე, ვიდრე ძველ კავშირებზე" (შევნიშნოთ ფრჩხილებში: სწორედ ამიტომაა, მათ რომ დიდი სიმპათია არა აქვთ რომის კონვენციისადმი, რომელშიც საქართველოს წევრობის რატიფიკაცია პარლამენტის მიერ დღეს საქართველოსთვის სასიცოცხლო ამოცანაა). მათთვის — ისევე, როგორც ამერიკული კონსერვატიზმისათვის საერთოდ და რესპუბლიკური პარტიისათვის კერძოდ — დამახასიათებელია თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების გადატანა (თანდათანობით) ევროპაში მდებარე და ევროპაზე ორიენტირებული ამოცანებიდან დასავლურისკენ, სახელდობრ, თავისი ურთიერთობებისკენ აზიასთან, ლათინურ ამერიკასთან და შუა აზიასთან, როგორც ეს სჩვეოდათ ბარი გოლდუოტერს და რონალდ რეიგანს. ტრადიციული რესპუბლიკელები, როგორნიც არიან რამსფელდი და ჩეინი, ჯერ კიდევ 12 წლის წინ მოითხოვდნენ სახელმწიფოს მიერ იმ პოზიციის დაკავებას, რომ მისაღებია „წინმსწრები დარტყმების" მიყენების კონცეფცია, და მიაჩნდათ, რომ თავდაცვის ხარჯები უნდა გაიზარდოს და გაიზარდოს მანამდე, სანამ ამერიკელთა სამხედრო ძალა არ იქნება იმგვარი, რომ არანაირი „გამოწვევა" მის მიმართ ძალაში აღარ იყოს. ორივე ეს იდეა დღესდღეობით შესულია შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სტრატეგიაში.

ნეო-კონთა უეცარი გაძლიერება მოჰყვა 11 სექტემბრის ტერაქტს. მიზეზი, ჟურნალის სიტყვით, შემდეგია: ეს ჯგუფი განსაკუთრებით უტრიალებდა ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკას და „წინმსწრები დარტყმების" დაკანონების იდეას, რომელთაც კონსერვატორები, ზოგადად, საკმაოდ გულგრილად ეკიდებოდნენ. ამგვარად, ბუშს ახალშექმნილ ვითარებაზე ადექვატური რეაგირებისათვის სხვა რამ მომზადებული გეგმა და კონცეფცია, გარდა ნეო-კონების ხელთ არსებულისა, არ აღმოაჩნდა. იგივე იყო ტერორისტთა ხელში ბირთვული იარაღის ჩავარდნის საშიშროების თემის ბედი: ნეო-კონებისათვის იგიც ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო და ბუშის იდეოლოგიურსა და სტრატეგიულ არსენალში მათ ეს წვლილიც შეიტანეს. გადაწყვეტილება სადამ ჰუსეინის დამხობის შესახებ (რომელიც მიღებულ იქნა სადღაც სექტემბერსა და მარტს შორის) საგარეო პოლიტიკის პრინციპთა ამ გადახალისების შედეგი იყო, ისევე როგორც ბუშის ფრთიანი გამოთქმა „ბოროტების ღერძი ქვეყნების" (ერაყი, ირანი, კორეა) თაობაზე, რომელიც, ჟურნალის სიტყვით, ადვილად შეიძლებოდა ყოფილიყო „ნეო-კონთა" რომელსამე საანბანო სახელმძღვანელოში.

## ნეო-კონები — საერთო აზრის თამამი გამომთქმელები

ჟურნალი ხაზს უსვამს, რომ ცვლილებები ბუშის პოლიტიკაში გამოწვეულია ტერაქტით და მასთან დაკავშირებული გამოწვევით, და არა ნეო-კონთა გავლენით. ამ პოლიტიკას „მხარს უჭერს მთავრობის თითქმის ყველა დონე, კონგრესის ჩათვლით (გამონაკლისია მხოლოდ სახ. დეპარტამენტი და შეიარაღებულ ძალთა დღეს მომსახურე ოფიცრები). ეს ახალი პოლიტიკა განსაზღვრულია თვით პრეზიდენტის მიერ. ნეო-კონთა ჯგუფია დამოკიდებული ბუშზე, და არა პირიქით".

„ვინც არ უნდა აყალიბებდეს ამერიკულ პოლიტიკას, ეს უკანასკნელი, კრიტიკოსთა სიტყვით, მტრულია (ზოგი) ევროპელის ინტერესების მიმართ, საერთაშორისო სამართლის, მრავალმხრივი ინსტიტუტებისა და ტრადიციული კავშირების მიმართ. აგრეთვე ამისა, თუ ამ პოლიტიკას გეგმავს ადამიანთა ჯგუფი, რომელშიც „ნეო-კონები" მხოლოდ პირველნი არიან თანასწორთა შორის, მაშინ კითხვის ქვეშ დგება თვით (დასავლური) კოალიციის სტაბილობა და ის, ხომ არ გაჩნდება მალე ბზარები ნეო-კონებსა და



ბუშის ვიწრო გუნდი: დგანან: კონდოლეცა რაისი, დიკ ჩეინი.
სხედან: ბუშის მარჯვნივ — პაუელი, ბუშის მარცხნივ — რამსფელდი.

დანარჩენებს (იგულისხმება: ამერიკის დანარჩენ პოლიტიკურ ძალებს) შორის".

„უთანხმოებები ამერიკის საგარეო პოლიტიკის თაობაზე უმთავრესად საშუალებებსა და ხარჯებს ეხება, და არა მიზნებს. მიზნები ერთია". ნეო-კონთა მიზნებს, — ერაყის განთავისუფლებას, ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის გავრცელებას და მასობრივი იარაღის გავრცელების რადიკალურ აღკვეთას — ამერიკაში ვერავინ შეეკამათება და არავინ ეკამათება. ძველი ხელშეკრულებებისათვის ამერიკელების მიერ ზურგის შექცევის ტალღა მანამდე დაიწყო, სანამ ნეო-კონთა გაძლიერება მოხდებოდა. ქსენი, უბრალოდ, უფრო დაუნდობელნი არიან ამ მრავალმხრივ კავშირთა მიმართ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მათი პოზიცია პრაგმატულია და არა ევროპელთა მიმართ მტრული. მათი მთავარი რისხვა ეხება გაეროს და ეუთოს. ერთადერთი, რაშიც ნეო-კონები მართლა მტრულად შეიძლება იყონ დაპირისპირებულნი ევროპელებისადმი, არის იზრაელ-პალესტინელთა საკითხი. აქ ნეო-კონებს მკვეთრი პროიზრაელური პოზიცია უჭირავთ. ისინი წინააღმდეგნი არიან „გზათა რუკისა", როგორც შეთანხმების გეგმისა, რადგან შიშობენ, რომ ეს საშიშროებას შეუქმნის იზრაელის უშიშროებას. მაგრამ, მეორე მხრივ, თვით ის ფაქტი, რომ ამერიკელების ხელისუფლებისაგან ეს გეგმა მოდის, მათი გავლენისუნარიანობის შეზღუდულ ხასიათზე მეტყველებას. საპირისპირო მიმართულებით — ანუ არაბების სასარგებლო მიმართულებით და იზრაელის ინტერესთა ერთგვარი შეზღუდვის მიმართულებით — ბუშზე, ჟურნალის აზრით, ზემოქმედებენ სახელმწიფო დეპარტამენტი (კოლინ პაუელი), ეროვნული უშიშროების საბჭო და ტონი ბლეირი.

## ნეო-კონთა გავლენის ბედი უახლოეს მომავალში

კარგია თუ ცუდია ბუშზე ამ ურთიერთგანსხვავებულ ზემოქმედებათა არსებობა ამერიკისათვის და მსოფლიოსთვის? ჟურნალის აზრით, კარგია, რადგან იგი ნეო-კონთა წარმოსახვის ფრენას აზომიერებს (ზომიერება კი, იგულისხმება, ყოველთის კარგია), ცუდია იმდენად, რამდენადაც მან შეიძლება პოლიტიკის არათანმიმდევრულობა გამოიწვიოს.

რა მომავალი აქვს ნეო-კონთა ესოდენ დიდ გავლენას? ჟურნალის აზრით, მათი ზოგი სურვილი ახდება, ზოგი — ვერა. სირიაში ომი მათ არ უნდათ, ზეწოლა კი უნდათ (იზრაელის ინტერესებში) და ეს სურვილი არ დაავიწყდებათ, როგორც დაავიწყდათ ავლანეთის თემა. მაგრამ შეიძლება ხელი შეეშალოთ სხვა კრიტიკულ წერტილთა გაჩენის და ყურადღების გადატანის გამო, კიდევ უფრო — იმ ხელმოჭერილობის გამო, რომლითაც კონგრესი შეიძლება შეჰხვდეს მათი პროგრამების დაფინანსების საკითხს. ანალოგიური დაბრკოლებები შეიძლება შეჰხვდეს მათს სურვილს, დიდხანს დატოვონ საზღვარგარეთ ამერიკული სამხედრო ნაწილები, რასაც ძალიან მძლავრად ეწინააღმდეგება დღეს სამსახურში მყოფი ოფიცრობა. თვით ბუშმა, რომლისთვისაც, ჟურნალის სიტყვით, „მთავარი საზრუნავია ხელმეორე არჩევა", შეიძლება ყურადღება სულ სხვაგან, კერძოდ, ეკონომიკურ თემებზე გადაიტანოს, რომლებიც არჩევნებისთვის უფრო მნიშვნელოვანია.

## „ადამიანის უფლებები", ანტიტერორიზმი და სუფთა ხელები

*როგორც ყოველთვის, მაროკოს დედაქალაქში გავლილი ამერიკელები ულოცავენ ხელისუფლებას მტკიცედ დგომას ანტიტერორიზმის პოზიციებზე ერთის მხრივ და მყარი რეფორმისტული ნების დემონსტრირებას „ადამიანის უფლებათა" დაცვის საქმის რეფორმირების ჩათვლით, მეორეს მხრივ. მაგრამ, THE ECONOMIST-ის სიტყვით, ეს ორი კეთილშობილური ამოცანა შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ერთიმეორესთან. მოყვანილია ფაქტები, რომ, დემოკრატიის მდგომარეობის ზოგადი გაუმჯობესების ფონზე, მაროკოში განახლდა „ექიმიტანილთა გაქრობის" ანუ მათი იატაკქვეშა დასაკითხ ცენტრებში მიყვანის შემთხვევები. დაკითხვის საგანია, პირველ ყოვლისა, ალ-ყაიდასთან ურთიერთობა და სხვა ანალოგიური დანაშაულები. საინტერესოა ორი რამ. ჯერ ერთი, პუბლიკაციიდან ჩანს, რომ მაროკოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკმარისად ძლიერი ლობი არსებობს, ამასთან, აქ ერთმანეთის დაცვას „ადამიანურ უფლებათა" თვალსაზრისით არ თაკილობენ ისეთი ურთიერთმოპირისპირე პოლიტიკური მიმართულების ჯგუფები, როგორნიც არიან ისლამისტები ერთის მხრივ და მემარცხენეები მეორეს მხრივ. მეორეც, იმ უკანონოდ დაკავებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი არა მხოლოდ ცოცხალი რჩება, არამედ თავისუფლებასაც იბრუნებს, ხოლო წამება, რომელიც იმ უკანონო პატიმრობაში ჰხვდებათ, შედარებით მსუბუქი ხერხებისგან შედგება, როგორიცაა, მაგალითად, თავის წყალში ჩაყოფინება დაკითხვის დროს. როგორც ჩანს, თავისუფლებისა და „ადამიანური უფლებების" იდეის მუშაობას ნელა, მაგრამ გარდუვალად მოაქვს თავისი შედეგი.*

# აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

## წერილი 4. აშშ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება

ისტორიულად აშშ შეიარაღებული ძალები მშვიდობიანობის დროს ყოველთვის მცირერიცხოვანი იყო და მას აკომპლექტებდნენ მოხალისეებით. მაგრამ ქვეყანაში სამოქალაქო ომის (1861-1865 წლები), აგრეთვე პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსვლელობისას დღის წესრიგში დგებოდა მრავალრიცხოვანი ჯარების ჩამოყალიბებისა და, შესაბამისად, სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი მამაკაცების სავალდებულო გაწვევის პრინციპი.

კორეის ომის (1951-1953) დასრულების შემდეგ აშშ კონგრესმა დაუთმო პრეზიდენტ ტრუმენის ადმინისტრაციის მოთხოვნას, უარი თქვა ამერიკის ტრადიციულ იზოლაციონალისტურ პოლიტიკაზე და გადაწყვიტა აქტიურად ჩარეულიყო მსოფლიოს საქმეებში. შესაბამისად ქვეყანას დასჭირდა უკვე მშვიდობიანობის დროს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების შენახვა, რისთვისაც აუცილებელი იყო საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის ამოქმედება. მაგალითად, სახმელეთო ჯარებში ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენდა ორ წელიწადს და ამის შემდეგ, კიდევ ხუთი წლის განმავლობაში დემობილიზებული ახალგაზრდა ირიცხებოდა პირველი რიგის რეზერვში. ასეთი სისტემის წყალობით საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა შეძლებდა მცირე ვადებში 6-8 მლნ ადამიანის მობილიზებას.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების გარდა ქვეყანაში კვლავინდებურად მოქმედებდა მოხალისეობის პრინციპი, მაგრამ მხოლოდ ამ უკანასკნელთა რიცხვი სრულებით არ იყო საკმარისი შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პოტენციურად, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის გარდა ამერიკულ ჯარებს უწევდათ მონაწილეობა ძირითადად „მესამე მსოფლიოს" ქვეყნებში გაჩაღებულ ლოკალურ ომებსა და კონფლიქტებში, რომელთაგან ყველაზე უფრო გაჭიანურებული და მსხვერპლის მომტანი ომი ვიეტნამში (1962-1973) ამერიკულ საზოგადოებაში სულ უფრო არაპოპულარული ხდებოდა. ჯარებში დაეცა სამხედრო დისციპლინა, გაძლიერდა სხვადასხვა უარყოფითი მოვლენები. ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა საშუალებით თავს არიდებდა სამხედრო სამსახურს. 1971 წელს, მაგალითად, აშშ სახმელეთო ჯარების რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობა მოხალისეებით დაკომპლექტებული იყო სულ 15%-ით, ხოლო 85%-ს შეადგენდნენ სამხედრო სამსახურში გაწვეულები. ცნობილმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ უარი თქვა სავალდებულო სამხედრო სამსახურზე და ციხეში ჩაჯდომა ამჯობინა, კინომსახიობი და მომღერალი ჯეინ ფონდა ჩრდილოეთ ვიეტნამში ჩადიოდა და იქ ამერიკის წინააღმდეგ მებრძოლებს კონცერტებს უმართავდა. თავად ამერიკაშიც ძლიერი იყო ანტისაომარი მოძრაობა, განსაკუთრებით სტუდენტებში, რაც ხშირად პოლიციასთან და ჯარებთან შეტაკებებით მთავრდებოდა.

ასეთ პირობებში აშშ ადმინისტრაციამ პენტაგონის სპეციალისტებს დაავალა შეესწავლათ დიდი ბრიტანეთისა და კანადის გამოცდილება ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოხალისეთაგან დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად. 1973 წლის 1 ივლისიდან აშშ შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება დაიწყეს უპირატესად მოხალისეებით, თუმცა არც საყოველთაო სამხედრო ვალდებულება გაუუქმებიათ, არამედ იგი მშვიდობიანობის დროს მხოლოდ დააკონსერვეს და შემცირებული სახით დატოვეს შესაბამისი სტრუქტურები და ორგანოები ომიანობის შემთხვევაში საყოველთაო სამხედრო ვალდებულების ფართო მასშტაბებით ასამოქმედებლად. ამავე მიზნით, მაგალითად, აშშ სახმელეთო ჯარებში რეგულარული არმიისა და ეროვნული გვარდიის საბრძოლო დივიზიების და ცალკეული ბრიგადების გარდა არმიის რეზერვში შედის 12 სასწავლო დივიზია, სწორედ ომიანობის დროს გაწვეული სამხედროვალდებულების მოსამზადებლად.

თავდაპირველად აშშ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების ახალ სისტემაზე გადასვლა საკმაოდ მტკივნეულად მიდიოდა და ჩამოყალიბებული სახე მან მხოლოდ ათი-თორმეტი წლის შემდეგ მიიღო — 1980-იანი წლების შუახანებში. პირველ წლებში ამერიკის თეთრკანიანი ახალგაზრდობა და განსაკუთრებით მისი განათლებული ნაწილი თავს არიდებდა სამხედრო სამსახურს. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა ჯარებში ფერადკანიანი მოხალისეების ნაკადი, ვინაიდან პენტაგონი მათ ჰპირდებოდა თეთრკანიანებთან თანაბარ შესაძლებლობებს. მაგრამ ამ კონტინგენტში შედარებით დაბალი იყო განათლებისა და გონებრივი განვითარების დონე. ამის გამო ფერადკანიან მოხალისეებს უშვებდნენ ძირითადად ქვეითი ჯარებში, სადაც შესაბამისი სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობის დაუფლებას განათლების მაღალი დონე არ სჭირდებოდა, ან სხვა ნაკლებკვალიფიციურ სამსახურებში. მაგრამ ვინაიდან ქვეითი ჯარი ტრადიციულად ომებში ყველაზე მეტ ზარალს განიცდის, ამიტომ პენტაგონის ასეთმა პოლიტიკამ დიდი პროტესტი გამოიწვია აშშ შავკანიან მოსახლეობაში, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათ შვილებსა და ძმებს შეგნებულად უშვებდნენ არმიაში საზარბაზნე ხორცად. მართლაც, თუ კი აშშ მოსახლეობაში ზანგები და მულატები შეადგენენ 12%-ს, 1970-იან წლებში ქვეითი ჯარების რიგით და სერჟანტთა შემადგენლობაში მათი ხვედრითი წილი 35-40%-ს უტოლდებოდა.

იყო შემთხვევები, როდესაც მოხალისედ მისული რიგითები და სერჟანტები კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ტოვებდნენ სამხედრო სამსახურს. მოხალისეთა ნაკლებობისა და დაბალ ხარისხობრივ დონეს კადრების დენადობის პრობლემაც ემატებოდა. მაგრამ 1980-იანი წლების დასაწყისიდან პენტაგონის ხელმძღვანელობამ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია მაღალი ფულადი ანაზღაურება, რომლის მონაცემებიც (თვიური ხელფასები) 1989 წლის მდგომარეობით მოყვანილია 1-ლ ცხრილში.
(ცხრილი 1)

**სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიები**

როგორც ვხედავთ, ფულადი ანაზღაურება იზრდება ნამსახურების წლებისა და წოდების მიხედვით, თანაც მოცემულ წოდებაში გარკვეული ვადით ნამსახურების შემდეგ ხელფასის მატება წყდება, თუკი რიგითი ან სერჟანტი თავად არ მოისურვებს კვალიფიკაციის ამაღლებას და უფრო მაღალი წოდების (კატეგორიის) მიღებას. რიგით შემადგენლობას აქვს უფასო კვება და ფორმის ტანსაცმელი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უფასოდ მოგზაურობის შესაძლებლობა, თუკი ისინი აირჩევენ სამსახურს ამერიკულ ბაზებში ქვეყნის გარეთ. უმუშევრობა მათ არ ემუქრებათ, თანაც სამხედრო სამსახურში იძენენ ისეთ პროფესიებსაც, რომლებიც შემდეგ სამოქალაქო ცხოვრებაშიც შესაძლოა გამოადგეთ. სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნის გამო რიგით სამხედრო მოსამსახურეებს ხელფასი თითქმის მთლიანად ენახებათ და სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ მათ უგროვდებათ გარკვეული თანხა საკუთარი საქმის დასაწყებად ან საზღვარგარეთ სამოგზაუროდ. თუკი რეგულარული შეიარაღებული ძალებიდან გათავისუფლებული ახალგაზრდა გადაწყვეტს უნივერსიტეტში ან კოლეჯში სწავლას, მაშინ პენტაგონი უნაზღაურებს მას ორი-სამი წლით სწავლის გადასახადს. სამხედრო სამსახურის გაგრძელების მსურველებს უდებენ ახალ კონტრაქტებს განსაზღვრული ვადით.

| სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიები | წლების დამსახურება* | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2-მდე | 2 | 4 | 8 | 12 | 16 | 20 |
| მთავარი სერჟანტი | – | – | – | – | 2143,5 | 2242,2 | 2337,0 |
| პირველი სერჟანტი | – | – | – | 1758,0 | 1855,8 | 1954,2 | 2048,4 |
| ოცეულის სერჟანტი | 1227,3 | 1324,8 | 1422,0 | 1517,4 | 1614,6 | 1735,8 | 1807,2 |
| შტაბ-სერჟანტი | 1056,0 | 1150,8 | 1249,8 | 1343,4 | 1464,6 | 1549,4 | 1583,1 |
| სერჟანტი | 926,7 | 1008,6 | 1103,7 | 1224,0 | 1319,4 | 1343,4 | 1343,4 |
| კაპრალი | 864,3 | 912,6 | 1041,3 | 1082,4 | 1082,4 | 1082,4 | 1082,4 |
| I-ლი კლასის რიგითი | 814,2 | 858,9 | 928,8 | 928,8 | 928,8 | 928,8 | 928,8 |
| რიგითი | 783,6 | 783,6 | 783,6 | 783,6 | 783,6 | 783,6 | 783,6 |

* წლების ნამსახურება ნიშნავს სამსახურის ვადას კონტრაქტის დადების (ომიანობის დროს გაწვევის) მომენტიდან.

გარდა ამისა, აშშ თავდაცვის სამინისტრო მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს რეკლამაზე სამხედრო სამსახურში ახალგაზრდების მისაზიდად, რიგით და სერჟანტთა შემადგენლობის საგანმანათლებლო პროგრამებზე, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარებაზე და ა. შ. ყოველივე ამის შედეგად 1986 ფინანსურ წელში ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის შენახვაზე საშუალოდ დაიხარჯა 140 ათასი დოლარი, მაშინ, როდესაც საფრანგეთში იხარჯებოდა 80 ათასი, გფრ-ში — 60 ათასი და დიდ ბრიტანეთში — 50 ათასი ამერიკული დოლარი.

აღნიშნული ღონისძიებებისა და ფინანსური ასიგნებების შედეგად 1985 წლისთვის აშშ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებამ მიიღო ჩამოყალიბებული და სტაბილური სახე. თავიდან შეიარაღებული ძალების სახეობათა სამინისტროები და თავდაცვის სამინისტრო განსაზღვრავენ მიმდინარე წელს შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებებს პირადი შემადგენლობით შევსებაში და ადგენენ გეგმებს. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს შეიარაღებულ ძალებში მოხალისეთა დაქირავების პუნქტები, რომლებშიც კანდიდატების მიღებას გამოცდილი სერჟანტები აწარმოებენ მთელი წლის განმავლობაში. ახალბედა მოხალისეებს ღებულობენ 17-35 წლის ასაკის ფარგლებში. მათ უტარებენ სამედიცინო შემოწმებას და საკვალიფიკაციო გამოცდებს. პირველით ამოწმებენ მოხალისეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, მეორით — გონებრივი განვითარების დონეს.

სამედიცინო შემოწმების შედეგად კანდიდატებს ყოფენ სამ კატეგორიად: A — ვარგისია შეზღუდვების გარეშე, B — ვარგისია უმნიშვნელო შეზღუდვებით და C — შეზღუდულად ვარგისია. მშვიდობიანობის დროს შეიარაღებულ ძალებში მიჰყავთ მხოლოდ A და B კატეგორიის მოხალისეები. გონებრივი განვითარების დონეს ამოწმებენ 100-ბალიანი სისტემით და კანდიდატებს ყოფენ ხუთ კატეგორიად, რომელთაგან თითოეულს ქულების გარკვეული რაოდენობა შეესაბამება. უკანასკნელი მეხუთე კატეგორიის (9-0 ქულა) მოხალისეებიც ასევე არ მიჰყავთ სამხედრო სამსახურში.

ყოველ სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობას შეესაბამება ფიზიკური და გონებრივი განვითარების აუცილებელი მინიმუმი. თუკი მოხალისეები არჩეული სპეციალობით მინიმუმ ქულებს ვერ დააგროვებენ, მათ შესაძლოა შესთავაზონ სამსახური სხვა სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობით ან ერთი წლის ვადით გადაუწიონ არჩეული სპეციალობით ჩარიცხვა.

კონტრაქტს ჩვეულებრივ დებენ ექვსი წლის ვადით, რომელთაგან მოხალისემ ნაწილი შეიძლება იმსახუროს რეგულარულ ძალებში და ნაწილიც რეზერვში. 1980-იან წლებში, მაგალითად, აშშ რეგულარულ სახმელეთო ჯარებში მოქმედებდა კონტრაქტის 12 ვარიანტი, რეზერვში — რვა. ამის შედეგად 1980-იანი წლების მიწურულისთვის რიგით და სერჟანტთა შემადგენლობის მოხალისეთაგან დაკომპლექტების მაჩვენებელი გაიზარდა 84,2%-მდე, რეგულარულ არმიაში სამსახურის საშუალო ვადა — 6,2 წლამდე, საშუალო განათლების მქონე ახალწვეულების ხვედრითი წილი ამაღლდა 93%-მდე, ხოლო გონებრივი განვითარების პირველი სამი კატეგორიისა (100-31 ქულა) 66%-მდე.

ამ და სხვა ღონისძიებების შედეგად აამაღლეს აშშ შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა. მაგრამ მნიშვნელოვნად შეამცირეს მსხვილმასშტაბიანი ომის საწყის ეტაპზე გასაწვევი კონტინგენტის რიცხვი. ამის საშუალება ამერიკულ სარდლობას მისცა ქვეყნის გეოგრაფიულმა იზოლირებულობამ ევროპისა და აზიის კონტინენტებისგან, რითაც პრაქტიკულად გამორიცხულია მის ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის მსხვილი ძალების მოულოდნელად შეჭრა. თავად პენტაგონის სპეციალისტებმა ჯარების დაკომპლექტების ამ სისტემის ჩამოყალიბებისას ნიმუშად აიღეს კანადის და დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, ანუ სწორედ ისეთი ქვეყნებისა, რომლებიც გეოგრაფიული იზოლირებულობის ან ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალობით ასევე დაცული არიან მოწინააღმდეგის მსხვილი ძალების მოულოდნელი თავდასხმისგან.

აღსანიშნავია, რომ მათ არ დაუწყიათ კონტინენტური სახელმწიფოების — თუნდაც აშშ მოკავშირე საფრანგეთისა და ფედერაციული გერმანიის სამხედრო მშენებლობის გამოცდილების შესწავლა საკუთარ ნიადაგზე გადასატანად, ვინაიდან კონტინენტური სახელმწიფოებისადმი არსებული სამხედრო მუქარები განპირობებულია მათი ერთმანეთთან ახლოს მდებარეობითა და მოწინააღმდეგის მსხვილი ძალებით მოულოდნელი თავდასხმის შესაძლებლობებით. ასეთი სახელმწიფოები ცივი ომის პერიოდში თავისი შეიარაღებული ძალების დაკომპლექტებას ახორციელებდნენ შერეული პრინციპის საფუძველზე, როდესაც მშვიდობიანობის დროს ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ 1,5-2 წლის ვადით გაწვეულები, ხოლო უფრო გრძელი ვადით კონტრაქტით მომსახურე მოხალისეებით აკომპლექტებდნენ უმცროს მეთაურთა შემადგენლობასა (სერჟანტები ან უნთერ-ოფიცრები) და ისეთ სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობებს, რომლებშიც მომსახურე პირად შემადგენლობას უხდებოდა რთული სამხედრო ტექნიკის ან რადიოელექტრონული და სხვა აპარატურების მომსახურება, რომლის კვალიფიციურად ათვისებისთვისაც 1,5-2 წლის არასაკმარისი იქნებოდა.

1991 წელს, მაგალითად, ნატოს ბლოკის წევრი ბელგიისა და დანიის რეგულარული შეიარაღებული ძალები გაწვეულთაგან დაკომპლექტებული იყო 35-40%-ით, გფრ და ნიდერლანდების — 42-45%-ით, საფრანგეთის, იტალიისა და პორტუგალიის — 50-60%-ით, ესპანეთისა და ნორვეგიის — 61-70%-ით, საბერძნეთის — 79% და თურქეთის 86%-ით.

ასეთ პირობებში, ამერიკული სამხედრო მშენებლობის გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებას თავისი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებისას, უპრიანი იყო ეხელმძღვანელა არა საკუთრივ ამერიკული, არამედ ისრაელის, ევროპის მცირე ნეიტრალური სახელმწიფოების (ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია) ან ნატოს ბლოკის მონაწილე და ამასთანავე საქართველოს მსგავსად დაძაბულ, ე. წ. „ცხელ რაიონში" მდებარე ნორვეგიისა და საბერძნეთის პრაქტიკით. ყველა ეს სახელმწიფო კი აქცენტს აკეთებს მშვიდობიანობის დროს თავისი შესაძლებელი ძალების შერეული ან მთლიანად გაწვევის საფუძველზე დაკომპლექტების მექანიზმზე რომელიც საშუალებას აძლევს რეზერვისტების მნიშვნელოვანი რიცხვის მომზადებისა და, შესაბამისად, ომიანობის დროს ან კრიზისულ პერიოდში, თავისი მასშტაბებისთვის მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების მობილიზებისა. ცივი ომის პერიოდში ეს მაჩვენებელი საბერძნეთში უტოლდებოდა ქვეყნის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 6%-ს, ნორვეგიაში, შვედეთსა და შვეიცარიაში — 9-10, ფინეთსა და ისრაელში — 14-ს. დღესდღეობით ამ სახელმწიფოთა ომიანობის დროის სავარაუდო შეიარაღებული ძალების რიცხოვნება რამდენადმე შემცირებულია (ქვეყნის მთელი მოსახლეობის 4,2-10%-ის ფარგლებში), მაგრამ პირადი შემადგენლობის შერეული წესით დაკომპლექტების პრინციპი კვლავინდებურად არის შენარჩუნებული.

ამასთანავე, სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, 1990-იანი წლების დასაწყისში 250-მილიონიან აშშ-ს, სრულმასშტაბიანი ომის საწყის ეტაპზე შეეძლო გამოეყვანა რეგულარული შეიარაღებული ძალებისა და რეზერვის 4 მლნ-მდე ადამიანი, ხოლო იმავე დროს საბჭოთა კავშირი გეგმავდა ასევე რეგულარული ჯარებისა და პირველი რიგის რეზერვის (ვინც მანამდე ხუთი წლით ადრე გათავისუფლდა ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან) 8,6% მლნ ადამიანის მობილიზებას. თავისთავად ცხადია, რომ თუკი აშშ გეოგრაფიულად სსრკ-ის მეზობელი სახელმწიფო იქნებოდა, ვთქვათ, ევროპის ან ჩინეთის ტერიტორიაზე, მისი შეიარაღებული ძალების ასეთი მცირერიცხოვნებისა და ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სამხედრო სამსახურის გაუვლელობის გამო, ვერც შესაძლოა ომის პირველ ეტაპზე და ვერც მის მომდევნო პერიოდებში აშშ ვერ შეძლებდა წარმატების მოპოვებას — პროფესიული შეიარაღებული ძალების მშენებლობის გამო აშშ-ის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სამხედრო საქმეში უმეცარი იყო და მათ მომზადებას გაცილებით მეტი დრო დასჭირდებოდა, სსრკ-ის მეორე და მესამე რიგის რეზერვისტებს 26-დან 50 წლამდე სამხედროვალდებულ მამაკაცებს კი თავის დროზე გავლილი ექნებოდათ სავალდებულო სამხედრო სამსახური და მათ მომზადება-გადამზადებას, აგრეთვე მათგან ბრძოლისუნარიანი ნაწილებისა და შენაერთების ჩამოყალიბებას გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდებოდა.

*გაგრძელება იქნება*

# საფრთხე, რომელსაც ვერ ვაცნობიერებთ

საქართველოში ხელოვნურად შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო ყოველდღიური ლუკმაპურის შოვნას გამოდევნებული ქართველი მოქალაქე, რომელიც ამავე დროს პრესისა და მასმედიის მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფება, ვერ აცნობიერებს იმ პროცესებს, რომელიც მიმართულია ერის უსისხლო გენოციდის ალსასრულებლად, მით უმეტეს, რომ ამ პროცესების წარმმართველნი ინილბებიან პატრიოტიზმის, პიროვნების თავისუფლების, საყოველთაო მშვიდობისა და ურთიერთსიყვარულის ნილბით, რითაც ხშირად მომაკვდინებელ ხაფანგში აბამენ პატიოსან და მიმნდობ მოსახლეობას.

სექსუალური განათლების მესვეურნი გვპირდებიან, რომ ახალგაზრდობას დაიცავენ სექსუალური ძალადობისაგან, აბორტებისაგან, სექსუალური ურთიერთობების გზით გადამდები დაავადებებისაგან და, ამასთანავე, უზრუნველყოფენ მათ პირადი ბედნიერებით. ამ ერთობ მიმზიდველი და სასურველი მოწოდების გავლენით მრავალი თანახმაა, ხელი შეუწყოს ბავშვთა სექსუალურ აღზრდას, ისე, რომ წარმოდგენაც კი არ აქვს, თუ რას სთავაზობენ სინამდვილეში.

დღეს ჩვენს წინაშეა წიგნი „მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ", რომლითაც სურთ მომავალში გაანათლონ სკოლის მოსწავლეები, ასევე ბროშურები, რომლებიც უკვე დარიგდა სკოლებში, ფილმები, რომლის დემონსტრირებაც უკვე მოასწრეს რამდენიმე სკოლაში, წიგნი, რომელსაც აწერია „აუცილებელი წიგნი ყველა მოზარდისათვის" და რომლის წაკითხვა არა თუ მოზარდისათვის, არამედ ნებისმიერი წესიერი და ჯანმრთელი ადამიანისათვის ყოვლად მიუღებელია, და აღარ გვჭირდება ზედმეტი გამოძიება იმის დასამტკიცებლად, რომ დაგეგმილია მომავალი თაობის საბოლოო გახრწნა და ფსიქიური განაგურება, რასაც შედეგად მოყვება დანგრეული და არშემდგარი ოჯახები, შობადობის კატასტროფულად შემცირება, დანაშაულობათა ზრდა, საბოლოო ჯამში — ერის გადაშენება.

მცირე ზომის ბროშურები, რომლებიც სხვა პრაქტიკულად მოსახმარ ნივთებთან ერთად უკვე დაურიგდათ მოსწავლეებს, შეიცავდნენ სხვადასხვა რჩევებს, მათ შორის გაუკუღმართებული ურთიერთობების დაწვრილებით აღწერას. გაფორმებული იყო უხამსი და ქართველი ერის ღირსების შემლახავი მდარე სურათებით, მაგ. პრეზერვატივი ჩოხით და ა.შ. და, რაც მთავარია, „ბავშვის ჩასახვა" მოხსნიებული იყო როგორც უარყოფითი მოვლენა და განიხილებოდა უარყოფით კონტექსტში, ვენერიული დაავადებებისა და შიდსის დონეზე. საერთოდ უნდა აღინიშნოს: ამ ტიპის ყველა „სახელმძღვანელოს" წითელ ხაზად გასდევს ტერმინი „არასასურველი ორსულობა" და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ ავტორებს დაავადებათა გავრცელებაზე მეტად სწორედ სიცოცხლის ჩასახვისა ეშინიათ. ეს ტერმინი ყოველთვის წინ უსწრებს ვენერიული დაავადებების დასახელებას, მაგ: „მთლიანი თავშეკავება ასპროცენტიანი გარანტიაა, რომ არ გექნება არასასურველი ფეხმძიმობა და სქესობრივად გადამდები დაავადებები"; „იხმარე პრეზერვატივები სხვა მეთოდებთან ერთად, რომ ნამდვილად დაიცვა თავი ორსულობისა და სქესობრივად გადამდები დაავადებებისაგან" და ა.შ. „მორალი", რაც მსგავსი „სახელმძღვანელოებიდან" იქადაგება, მდგომარეობს შემდეგში: „იმრუშე, როგორც გინდა, როცა გინდა, სადაც გინდა და ვისთანაც გინდა, ოღონდ მთავარია თავი დაიცვა ორსულობისა და დაავადებებისაგან".

საქართველოში სექსუალური განათლების დამკვიდრების პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა გამომცემლობა „დიოგენე", რომლის დირექტორია ქალბატონი თამარ ლებანიძე. გამომცემლობა ფინანსდება სოროსის მიერ გაცემული თანხებით. ამავე გამომცემლობას ეკუთვნის წიგნი „მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ", რომლებიც გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში განათლების სამინისტრომ სასკოლო წიგნების გამოფენაზე წარმოადგინა და „დამხმარე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების კატალოგში" შეიტანა, რითაც გაცხადდა, რომ განათლების სამინისტრო მხარს უჭერს მოსწავლეებში თავისუფალი სექსუალური ცხოვრების წესის დამკვიდრებას. წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა და გამომცემელმა ქალბატონმა თამარ ლებანიძემ გაზეთ „24 საათის" ფურცლებზე (№145; 25 ოქტომბერი, 2002 წ.) სიამაყით განაცხადა, რომ დაბეჭდილი 2000 ეგზემპლარიდან დიდი ნაწილი უკვე საჩუქრად დაურიგდათ ბავშვებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი დიდხანს ედოთ დახლზე და არავინ ყიდულობდა, მისთვის სახელმძღვანელოს სტატუსის მინიჭებით კი იოლად გასაღდება.

ზემოთხსენებულ წიგნს პარლამენტარმა გურამ შარაძემ პრესკონფერენციაზე უარყოფითი შეფასება მისცა დამსწრე საზოგადოების (რომელსაც ძირითადად პედაგოგები წარმოადგენენ) ერთსულოვანი თანხმობით. პრესკონფერენციას ესწრებოდა წიგნის თანაავტორი და გამომცემელი, გამომცემლობა „დიოგენეს" დირექტორი თამარ ლებანიძეც, რომელმაც თავად მოისმინა მისი ნამუშევრის მიმართ ერთხმად გამოთქმული უარყოფითი შეფასება, მაგრამ მიუხედავად ამისა მიმდინარე წლის 15 მაისს ცენტრალური ტელევიზიის ეკრანიდან საზოგადოებას სიამაყით ამცნო, რომ წიგნმა გამოცდას გაუძლო და მისი მეორე გამოცემაც გამოვიდა.

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა 2003 წლის 11 ივნისს განიხილა ზემოთხსენებული წიგნი და მიიღო დადგენილება: „არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმების" მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე წიგნს „მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსისა და ჯანსაღი წესის შესახებ" მიენიჭა „არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი კატეგორია". „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე აიკრძალოს არასრულწლოვანთათვის აღნიშნული წიგნის მიყიდვა, ხოლო სრულწლოვანი მოქალაქეებისათვის მისი მიყიდვა დასაშვებია მხოლოდ შეფუთული სახით და გარეკანზე წარწერით: „აკრძალულია 18 წლამდე".

არადა 2000 ეგზემპლარი უკვე დაურიგდათ ბავშვებს! ხოლო განათლების სამინისტრომ ყოველგვარი წინასწარი განხილვის გარეშე პორნოგრაფიული ლიტერატურა შეიტანა მოსწავლეთა დამატებით საკითხავ წიგნთა ნუსხაში.

თამარ ლებანიძის მოღვაწეობით ქართველი ახალგაზრდობა „დასაჩუქრდა" კიდევ ერთი ამაზრზენი წიგნით „ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში", რომლის ავტორია ამერიკელი რუთ ბელი. წიგნმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი განკუთვნილია 13 წლიდან 18 წლამდე მოზარდთათვის. არ შევჩერდებით იმ გახრწნილებათა ჩამოთვლაზე, რომლებსაც დაწვრილებით გაეცნობა მოზარდი და არამარტო მოზარდი მისი წაკითხვის შემდეგ, არამედ ყურადღებას გავამახვილებთ ერთ მთავარ მომენტზე, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ წიგნი მიმართულია ქართველი ერის უსისხლო გენოციდისაკენ. წიგნის დასასრულს ავტორი ამგვარ რჩევებს აძლევს ნორჩ მკითხველს: „შესაძლოა ფიქრობდე, რომ ფეხმძიმობა და აბორტი შეცდომა იყო, მაგრამ დაიმახსოვრე, შეცდომას ყველა უშვებს. ფეხმძიმობის გაგრძელება და ბავშვის გაჩენა შესაძლოა უფრო დიდი შეცდომა ყოფილიყო როგორც შენთვის, ისე შენი შვილისათვის. თუკი აბორტის გაკეთებას განიცდი, საკუთარ თავს პირობა მიეცი, რომ მომავალში თავს ასეთ მდგომარეობაში აღარასოდეს ჩაიგდებ და სქესობრივი ურთიერთობის ყოველ ჯერზე (წიგნი განკუთვნილია 13-დან 18 წლის მოზარდთათვის! ხ. ჩვ.) გამოიყენებ შობადობის საკონტროლო საშუალებებს. შესაძლოა ზოგიერთი სახის დეპრესია ფეხმძიმობის დასრულების შემდეგ შენს სხეულში ჰორმონების შემცირებით იყოს გამოწვეული, მაგრამ აბორტის შემდგომ დეპრესიათა მიზეზი ემოციებია... ნუ იქნები ძალიან მკაცრი საკუთარი თავის მიმართ. შენ ის გააკეთე, რაც ყველაზე მართებულად მიგაჩნდა". ამგვარად უსისინებს წიგნის ავტორი ჩვენს ქართველ მოზარდს. მაგრამ საკუთარ საშოში გამომწყვდეული საკუთარი შვილის მკვლელობა რომ ბარბაროსობათა შორის ყველაზე საშინელია, ამის შესახებ არც ერთი სიტყვა! თურმე საკუთარი შვილის მკვლელობა, რომელიც დედის სულს აფორიაქებს, მხოლოდ და მხოლოდ ჰორმონების სიმცირე და ემოციებია, მეტი არაფერი. ამის შემდეგ ავტორი კვლავ ამხნევებს აბორტის გასაკეთებლად გამზადებულ გოგონას: „თუ რაიმე სერიოზული გართულება არ გქონია, აბორტი დაფეხმძიმებას ხელს არ უშლის" და „ბევრ გოგონას დაუგეგმავ ფეხმძიმობასთან გამკვლავების შემდეგ საკუთარი თავის რწმენა ემატება... რადგან რთულ სიტუაციაში საუკეთესო (! ხ. ჩვ.) გადაწყვეტილება მიიღო და პრობლემა მოაგვარა", ხოლო მათ, ვინც ჯერ კიდევ ყოყმანობს და შვილის გაჩენაზე ფიქრობს, მათთვის „საუკეთესო" რჩევები აქვს გამზადებული. „თუკი მუდმივად მეგობრებთან გინდა ყოფნა, ნუ დაფეხმძიმდები და ნუ გააჩენ შვილს... ნუ დაფეხმძიმდები იმისათვის, რომ მეგობარი ბიჭი შეინარჩუნო. ეს ერთმანეთს უფრო დაგაშორებთ... ჯობია ბავშვის მაგიერ ლეკვი იყოლიო..." და ა.შ.

ბოლოს კი წერს: „მოზარდი მშობლები თავისი შვილების ცხოვრების უმეტეს დროს სხვადასხვა პარტნიორთან ატარებენ... ბოლოს და ბოლოს ყველა ბავშვი დაინტერესდება, ვინ არის მამამისი და თუ მის ცხოვრებაში იქნები, ბავშვს ეცოდინება და ეყვარები". ეს უკვე რჩევებია ახალგაზრდა მამებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ესაა „აუცილებელი წიგნი ყველა მოზარდისათვის", როგორც ყდაზე გაკეთებული წარწერა გვამცნობს, ადვილი მისახვედრია, თუ როგორ მომავალს უმზადებენ საქართველოს მისი ქართულ ენაზე გამომცემლები.

წიგნის თაობაზე პირად საუბარში ერთ-ერთმა რედაქტორმა, ქალბატონმა ანა ჭაბაშვილმა განაცხადა, რომ ამ წიგნში ვერაფერს ხედავს ცუდს და რომ მისი გამოცემა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ქართულ ენაზე მსგავსი რამის დაწერა ვერცერთმა ქართველმა ვერ შეძლო. თუმცა ქალბატონებმა ამერიკიდან მხოლოდ უმსგავსობის მოწოდება შეძლეს ჩვენი მოსახლეობისათვის. მათ ვერ „მიაგნეს" ზნეობრიობის დამცავ კანონებს და გამონათქვამებს, რომლებიც სწორედ ამერიკელ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოღვაწეებს ეკუთვნით. თვალსაჩინოებისათვის შეგახსენებთ რამდენიმე მათგანს:

„აბორტმა აღიარება პოვა როგორც საშინელმა დანაშაულმა, სამედიცინო უბედურებამ და ადამიანური ტრაგედიის გამოხატულობამ" — ჯონ ტ. ნუნანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

„მაშინ, როცა დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლე ნადგურდება, ისინი განიცდიან ტკივილს, რომელიც ხანგრძლივმოქმედი და აუტანელია" — რონალდ რეიგანი, აშშ-ს პრეზიდენტი.

„ყველა პიროვნებას გააჩნია თავისი სიცოცხლის დაფასების უფლება. აღნიშნული უფლება დაცულია კანონით, და ზოგადად, ჩასახვის მომენტიდან..." — ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, რომელიც ამოქმედდა 1978 წლის 18 ივლისს, მე-4 მუხლი — „სიცოცხლის უფლება".

როგორც რეპოფი აღნიშნავს, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტთა შორის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია გვევლინება ჩასახვის მომენტიდან სიცოცხლის უფლების უდავო დამცველად".

რა თქმა უნდა, გამომცემლობა „დიოგენეს" მესვეურებს მსგავსი საკითხები არ აინტერესებთ. ისინი ჯიუტად იმეორებენ: „ჩვენ რასაც ვაკეთებთ, სწორია იმიტომ, რომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ გზით საქართველოში უკეთესი ცხოვრება დამკვიდრდება". ნაცნობი ფრაზა და ნაცნობი შეუვალობაა. ამგვარი „უკეთესი ცხოვრების" მშენებლობა, რომელიც მიმდინარეობდა 70 წელი, წინა თაობასთან ერთად ჩვენც გავიზიარეთ და დღემდე გვახსოვს მისი შედეგები.

ზემოთხსენებული წიგნის თაობაზე მივმართეთ გლდანი-ნაძალადევის ახალგაზრდობის საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს ბატონ ზვიად ჭილაიას. მან თავის მხრივ წიგნი გადასცა საქართველოს ახალგაზრდობის პრობლემის კვლევის ცენტრს, სადაც მას გაეცნენ და შესაბამისი შეფასება გაუკეთეს პედაგოგებმა, სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა. 2003 წლის 14 მაისს სხდომაზე ზემოთ დასახელებული წიგნი განიხილეს, რის შედეგადაც კომისიამ დაადგინა: „რუთ ბელის წიგნს „ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში" „არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმების" მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე მიენიჭოს „არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი კატეგორია".

ახალგაზრდული დეპარტამენტის დადგენილება გავაცანით გამომცემლობა „დიოგენეს" დირექტორს და თანამშრომლებს და ვთხოვეთ არ გაეტანათ იგი ამა წლის 11-14 ივნისს გამართულ თბილისის წიგნის ფესტივალზე. უნდა აღინიშნოს, რომ მათ დაუფარავად განგვიცხადეს, რომ არ აინტერესებთ სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება, უფრო მეტიც: ქალბატონმა თამარმა ამგვარად მიმართა ჩვენი ეკლესიის მოძღვარს მამა დავითს: „თქვენ ბნელი კი არა ბნელზე უარესი ხართ" და საუბარში მოიხსენიებდა მას „ბატონ დავითად", რადგანაც როგორც თავად აღნიშნა „საბედნიეროდ მართლმადიდებელი არ არის".

11 ივნისს, წიგნის ფესტივალის გახსნისას ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის მიერ მიღებული დადგენილება გავაცანით ფესტივალის ხელმძღვანელს, ბატონ მერაბ ქათამაძეს და ვთხოვეთ ეზრუნა, რათა ახალგაზრდობა დაეცვა მავნე პროდუქციის ზეგავლენისაგან. მისი პასუხი იყო მოკლე: „მე არ მაქვს ამის უფლება".

საქმის კურსში ჩავაყანეთ ფესტივალის დამფინანსებლებიც, მაგრამ უშედეგოდ. ფაქტია, რომ „ამერიკული დემოკრატიით" ისე შეაშინეს ქართველი საზოგადოება, რომ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც კი ავიწყდებათ, რომ კანონი არსებობს, რომლის წინაშეც ყველა მოქალაქე აგებს პასუხს, რომ უზნეობა ამერიკაშიც დასჯადია.

*მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის სახელით*
*თეა პაიჭაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწარე სიმართლე

## იუმორის ყუთი

## მე რომ პრეზიდენტის მრჩეველი ვიყო...

1. პირველ რიგში ვურჩევდი: რაც შეიძლება მალე გააპანღუროს ყველა დღევანდელი მრჩეველი, იმის გამო, რომ დღემდე არავინ ურჩია, ჯერ სახელმწიფო შექმნას და მერე რამდენიც უნდა ილაპარაკოს ტყუილე-




ბი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე.

2. ვურჩევდი: იმის გამო, რომ ქართველი ხალხი დღეს ცხვრის ფარის დონეზეა, სიტყვა პრეზიდენტი, ჯერჯერობით, მაინც გამოვიდეს ხმარებიდან და მის ნაცვლად დამკვიდრდეს სარქალი! „საქართველოს სარქალი" — შესანიშნავად ჟღერს და ამართლებს კიდეც შესატყვისს.

3. ვურჩევდი: აკრძალოს ყველაფერი, რასაც ფული სჭირდება: კვება (განსაკუთრებით ძვირადღირებული პროდუქტით), ჩაცმა-დახურვა, დაბანა, დარეცხვა, კბილის გახეხვა, ტრანსპორტით მოგზაურობა, განსაკუთრებით ტროლეიბუსით, რომელიც ისე ნელა მოძრაობს, რომ ჯიბგირები ერთი მოქალაქის გაქურდვას ორჯერ ასწრებენ. საერთოდ, გააუქმოს „პარიკმახერის ინსტიტუტი" და დააწესოს წელიწადში ერთხელ გაპარსვა-გაკრეჭა, ისე, როგორც შეეფერება ცხვარს! — ისიც ადგილობრივი ძალებით (ცოლი, შვილი, სიდედრი, ცოლისდა, რძალი და ა.შ.).

4. ვურჩევდი: ყველასთვის მოეხსნა ადამიანის უფლებების შეურაცხმყოფელი 14 ლარიანი პენსია და მიეცა მხოლოდ კუბოს ფული, პენსიონერის გარდაცვალების შემდეგ.

5. არავითარ შემთხვევაში არ ვურჩევდი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას იმიტომ, რომ ხალხი ძლივს გადაეჩვია ადამიანურ ცხოვრებას და იმის შეხსენებამ, რომ „ხალხო, თქვენ, პირუტყვები კი არა, ადამიანები ხართ"-ო, შეიძლება უკმაყოფილება გამოიწვიოს ხალხშიც და წესრიგის ვერდამცველებშიც. ბოლოს და ბოლოს, დაიღალნენ ხელკეტების ქნევით, საბრალო „მლებრიონელები" (ესეც შენი ახალი ტერმინი!).

6. არ ვურჩევდი პარლამენტის სხდომებზე დასწრებას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იქ ჯდომა წყლის ნაყვაა, მეორე იმიტომ, რომ ძალიან ბინძური ენით იგინებიან და შეიძლება გაირყვნას, მესამე იმიტომ, რომ შეცდომით ვინმემ არ გაულაწუნოს ამ დროულ კაცს (ფუ, ეშმაკს!).

7. აღარ ვურჩევდი „ტერაქტობანას" თამაშში მონაწილეობას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთელი საქართველო ჭორაობს, ყველა ტერაქტი გათამაშებული იყოო, მეორე ის, რომ რაც მის მანქანას ესროლეს და წესიერად ვერ მოარტყეს, ხომ შეიძლება მართლა მოარტყან იმ ნაძირალებმა და დაგვტოვონ პრეზიდენტის გარეშე? მთელმა მსოფლიომ იცის, რომ მას ალტერნატივა არა ჰყავს.

8. არ ვურჩევდი ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების აღდგენა-აღორძინებას. ძლივს დაისვენეს ქართველმა მუშებმა და გლეხებმა. რაც მთავარია, ამით ხომ ხელი შეეშლებათ ამდენ ვაიბიზნესმენებს. ქართული შემართებით რომ ჰყიდიან თურქულ შხამსა და სამსალას.

9. ვურჩევდი: პენსიაზე გასვლას და „მეგობრების მიერ ნაჩუქარი" მილიარდების ტკბილად, უდარდელად ხარჯვას.

10. პენსიაზე გასვლის შემთხვევაში, ვურჩევდი მოეთხოვა პენსია, არა 14, არამედ 34 ლარი, როგორც ღვაწლმოსილ ადამიანს შეეფერება.

---

სამთავრობო ღონისძიება:
ამოსახსნელი „სასკოლო ამოცანები"
არ წაუკითხოთ ბავშვებს!

### საქართველოში მოსახლეობა ფსიქოლოგიურ დეგრადაციაშია

**ამოცანა №1**

მეფე ვახტანგ VI-მ რუსეთში წაიყვანა 3000 რჩეული ადამიანი და გაიტანა 130 კარგად დატვირთული ურემი (კიდევ კარგი, რომ მაშინ „ტრაილერები" არ იყო) განძი.

ნოე ჟორდანიამ თან გაიყოლა რამდენიმე ასეული განსწავლული ადამიანი და უამრავი ძვირფასეულობა (შემდგომში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ვაიუბედურებით დაბრუნებული).

1991-92 წლების პუტჩის დროს და მას შემდგომ პერიოდში, საქართველოდან გაიქცა მილიონნახევარი ადამიანი (მათ შორის 17000 ჰომოსექსუალისტი და ამდენივე ბოზი), გაიზიდა მილიონზე მეტი კუბური მეტრი ხე-ტყე, ათასობით ტონა ფერადი ლითონი (მათ შორის ოქრო, პლატინა, ვერცხლი და ა. შ.).

რამდენი ადამიანი დარჩა საქართველოში (მათ შორის ჰომოსექსუალისტი, ბოზი, ნარკომანი, ქურდი, მათხოვარი და მაწანწალა) და არის თუ არა კიდევ რამე გასაზიდი?

**ამოცანა №2**

დღეს საქართველოში მოსახლეობის 95% მშიერ-მწყურვალია, 300 000 — ლტოლვილი, 150 000 — მათხოვარი და „ბომჟი".

ვინ გაძარცვა საქართველოს ხაზინა, თუ ფუფუნებით მხოლოდ 5% ცხოვრობს?

**ამოცანა №3**

ერთ ოჯახში 3 სული მუშაობდა. პირველს ჰქონდა 300 მან ხელფასი, მეორეს — 250, მესამეს — 230, ხოლო პენსიონერებს: ბაბუას — 150 მან., ბებიას — 50 მან.

რითი ცხოვრობს დღეს ის რვასულიანი ოჯახი (ბაბუა — 80 წლის, ბებია — 76. 2 სრულწლოვანი და 4 არასრულწლოვანი ადამიანი), თუ მათ არავითარი შემოსავალი არა აქვთ და ყოველთვიურად გადასახდელი აქვთ: შუქის, წყლის, ტელეფონის, გაზის, სწავლის, ლიფტის და ნაგვის გატანის თანხა? (არ ვანგარიშობთ სასწავლო ნივთებსა და სახელმძღვანელოებში გადასახდელ თანხებს).

ამოცანის ამოხსნის გასაადვილებლად დავუშვათ, რომ ამ ოჯახის წევრები არც ჭამენ, არც სვამენ, არც იმოსებიან, არც ექიმთან დადიან, არც წამლებს ყიდულობენ, არც სარეც საშუალებებს, არც კბილის პასტას და არც ტუალეტის ქაღალდს (თუ საჭმელს არ ყიდულობენ, ეს თავისთავად გამორიცხულია).

---

## პოლიტგვაროლოგია, ანუ ვინ ვინ არის?



შ — შეგნებულად
ე — ებრძვის
ვ — ვალმოხდილ
ა — ადამიანებს,
რ — რატომღაც
დ — დასცინის
ნ — ნამუსიანებს
ა — აშკარა
ძ — ძალმომრეობა
ე — ეტყობა.

ე — ეროვნულობა
დ — დაგვაკარგვინა,
უ — უნამუსობას
ა — ამრავლებს.
რ — რადიკალურად
დ — დაგვაქცევს,
ი — იმედია.



ბ — ბედნიერი
უ — უსაქმურია,
რ — რადგან
ჯ — ჯამაგირი
ა — აქვს
ნ — ნორმალური.
ა — ამბობენ,
ძ — ძალიან
ე — ენერგიულიაო.

ნ — ნაღდად
ი — ინანებს
ნ — ნომენკლატურული
ო — ოინბაზობისთვის.



ს — სახალხოდ
ა — აპირებს
ა — არა კომპეტენტური
კ — კარიერისტის,
ა — ამხანაგ
შ — შევარდნაძის,
ვ — ვაიქართველი
ი — ინტრიგანი
ლ — ლობისტის
ი — იმპიჩმენტს.

მ — მას
ი — ირჩევენ
შ — შემდეგ
ა — არჩევნებში!



თ — თავბრწყინვალე,
ე — ენერგიული
ვ — ვაჟკაცია.
ზ — ზრუნვა
ა — არმიაზე
ძ — ძალიან
ე — ემნელება.

დ — დაკავებულია
ა — აღმოსავლური
ვ — ვარჯიშებით,
ი — ინარჩუნებს
თ — თანამდებობას
ი — ინტელექტით.



პ — პარტიული
ა — ადამიანია,
ტ — ტყუილად
ი — იბრძვის.
ა — არჩევნებში
შ — შევარდნაძე
ვ — ვერაგულად
ი — იყენებს
ლ — ლიდერის
ი — იმიჯს.

ჯ — ჯამბაზობით
უ — უჯოკრავს
მ — მას
ბ — ბებერი
ე — ედუარდი.
რ — რას
ი — იზამ?!



ნ — ნამდვილად
ა — ადვილად,
თ — თამამად,
ე — ენერგიულად
ლ — ლანძღავს
ა — ამხანაგ
შ — შევარდნაძეს,
ვ — ვითომ,
ი — იქნებ,
ლ — ლეიბორისტები
ი — ივარგებენ?

შ — შევეშვათ,
ა — ამომრჩევლებო,
ლ — ლეიბორისტებს!
ვ — ვის
ა — აირჩევთ?



თ — თავისი
ო — ოფლით
ფ — ფულს
ა — აკეთებს,
ძ — ძალიან
ე — ენერგიულია

გ — გაგიმარჯოთ
ი — ისე
ო — ორგანიზებულობაში,
რ — როგორც
გ — გოგიმ
ი — იმარჯვა.



თ — თავდადებული
ა — ადამიანია,
რ — რომელიც
გ — გულაზდილად
ა — ამხელს
მ — მამაძაღლებს.
ა — არის
ძ — ძალიან
ე — ეროვნული.

გ — განხორციელებულიყოს
ი — ისე
ო — ოცნებები,
რ — როგორც
გ — გიორგიმ
ი — იოცნება.



ა — აჭარის
ბ — ბეგთაბეგი
ა — ავლენს
შ — შორსმჭვრეტელურ
ი — იდეებს,
ძ — ძირძველი
ე — ერისშვილია

ა — აშკარად
ს — სძულს
ლ — ლაილაი,
ა — ამიტომ
ნ — ნაჭუჭში
ი — იკეტება.

---

## რაც არ მეორდება, არ შემეორდება!

(ცხელ კვალზე)

მიმდინარე წლის 32 დეკემბერს, საქართველოს ჩამოუკიდებელი, საბაზრო სახელმწიფოს საკუთარ თავდაცვის 9 თვის ხელფასაუღებელმა თანამშრომლებმა კაზბეკა შარიკაძემ და შარიკა ქოფაკიშვილმა, დანაშაულის ადგილზე დააკავეს ასევე 9 თვის ხელფასაუღებელი, დროებით უმუშევარი (5 წელია უხელფასო შვებულებაშია) ღარიბა ლატაკიშვილი.

ეჭვმიტანილმა აღიარა, რომ ხარფუხში, ყოფილ საქუღას დუქანში და ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასევე ყოფილი აკადემიკოსის ბადრი ჯანაშვილის სახინკლეში, მომხმარებელ ლუტუნია მაძღარაშვილს თვალსა და ხელს შუა აალიტა ოცი ცალი პილპილმოყრილი, ცხელ-ცხელი ხინკალი და ელვის სისწრაფით, დაუღეჭავად გადაყლაპა 16 ცალი (მეტი ვერ მოასწრო). ის-ის იყო ცივი ლუდის მიყოლებას და მიმალვას აპირებდა, რომ სამართალდამწვარი ორგანოს თანამშრომლებმა, ზემოთ მოხსენებულმა შარიკაძემ და ქოფაკიშვილმა ჩაასხამეს.

შიშისაგან აკანკალებულმა ეჭვმიტანილმა ისიც აღიარა, რომ სამი დღეა ლუკმა არ უჭამია არც მას და არც მის ოჯახის წევრებს: ცოლი-ნიბლია, შვილები: მაკარონა, სპაგეტი და ვერმიშელა, (სახელებზე ეტყობათ როგორი დასუქებული ცოლ-შვილი ჰყოლია ღარიბას!).

ეჭვმიტანილს გაჩხრეკისას ჯიბეში აღმოუჩინეს: საკეცი დანა, რომელზეც დამონტაჟებული ჰქონდა ჩანგალი და კოვზი. უბეში გადამალულ პოლიეთილენის პარკში ეწყო: პილპილი, მარილი და მდოგვი, რაც მიუთითებს ბოროტმოქმედის პროფესიონალიზმზე და იმაზე, რომ ეს შემთხვევა მისთვის არც პირველი იყო და არც ბოლო.

**შენიშვნისათვის.** 20 ხინკლიდან გადარჩენილი 4 ცალი და ერთი კათხა ლუდი სამართალდამწვარებმა გაინაწილეს, რომელიც ეჭვმიტანილს დააწერეს.

ბოროტმოქმედი მალე წარსდგება მართლმსაჯულების წინაშე და სავარაუდოდ დაისჯება სისხლის სამართლის I და II მუხლის, ცარიელი კუჭის და კუჭქვეშა ჯირკვლის ქვეპუნქტების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს 5-დან 7-წლამდე თავისუფლების აღკვეთას მკაცრი რეჟიმის საპატიმროში (იმაზე გაცილებით მკაცრი რეჟიმის, ვიდრე „სვაბოდაზეა", ანუ მშიერ-მწყურვალი, დატილიანებულ-გაპედარასტებული, ტუბერკულოზით და მუნით დაავადებულ პატიმართა შორის). განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ ბოროტმოქმედმა უხეშად დაარღვია კანონი საქართველოს მოქალაქის უფლებათა შესახებ.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ იოსებიძე

| | | | |
|---|---|---|---|
| მთავარი რედაქტორი მანანა ლობჯანიძე | რედაქციის მისამართი: თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5 გაზეთის ინდექსი 66447 | შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 ტელ: 93-20-36 | გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს. |